პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ შრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

კვირა, 9 ოქტომბერი, 1949 წ. № 201 (8504). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საბჭოთა სოციალისტური ერების კულტურის აყვავება — „პრავდის“ 8-X მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ს. ინწკირველი — ლენინ-სტალინის პარტიის სათავეებთან (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
ემზადებიან ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება-გადამუშავებისათვის (მე-3 გვერდი).
თელავის მტს-ის მუშაობა უნდა გაჯანსაღდეს (მე-3 გვერდი).
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემოქმედება (მე-3 გვერდი).
დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის მანიფესტი (მე-3 გვერდი),
საფრანგეთის მთავრობის კრიზისის გამო (მე-4 გვერდი).

საბჭოთა სოციალისტური ერების კულტურის აყვავება

ღრმა და მრავალმხრივი კულტურული რევოლუცია მოხდა ჩვენს ქვეყანაში. მან მძლავრი ზემოქმედება მოახდინა დიდ ქალაქებსა და ყველაზე მცირე სოფლებზე, ცენტრებსა და განაპირა კუთხეებზე, კიდით კიდემდე გადასწვდა ჩვენს დიად სამშობლოს, გადააქცია იგი მსოფლიოში ყველაზე მოწინავე კულტურის ქვეყნად.

კულტურული რევოლუციის წარმატებანი განუყოფელია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის — ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკის წარმატებებისაგან. სწორედ ამ პოლიტიკის შედეგად უზრუნველყოფილ იქნა სსრ კავშირის ყველა ხალხის კულტურის — ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის სწრაფი ზრდა და ყოველმხრივი აყვავება.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო ნაციონალური ჩაგვრა და გამოიწვია ჩვენი ქვეყნის წინათ ჩაგრული ერების აღორძინება, მათი ნაციონალური კულტურის ზრდა, ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრული ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცება და სოციალისტური მშენებლობის საქმეში მათ შორის თანამშრომლობის დამყარება. აღორძინებული ერები უკვე ძველი, ბურჟუაზიული ერები როდი არიან, რომლებსაც ბურჟუაზია ხელმძღვანელობდა, არამედ ესინი არიან ახალი, **სოციალისტური** ერები, რომლებიც ძველი ერების ნანგრევებზე აღმოცენდნენ და რომლებსაც ლენინ-სტალინის დიდი პარტია ხელმძღვანელობს.

იწყებდა რა კულტურული რევოლუციის განხორციელებას, პარტია ამოკაენად ისახავდა დაეფარა ჩვენი ქვეყანა სკოლების ხშირი ქსელით, სადაც სწავლება **დედაენაზე** იწარმოებდა, დედაენაზე შეექმნა პრესა, თეატრები, კინოები და სხვა კულტურული დაწესებულებანი. თავის შესანიშნავ ნაშრომში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა თხზულებათა ამას წინათ გამოსულ მეთერთმეტე ტომში, ამხანაგი სტალინი წერდა:

„რატომ დედაენაზეო — გვეკითხებიან. იმიტომ, რომ ხალხის მილიონიან მასებს კულტურული, პოლიტიკური და სამეურნეო განვითარების საქმეში წარძღებათა მიღწევა შეუძლიათ მხოლოდ დედაენაზე, ეროვნულ ენაზე“.

კომუნისტური პარტია ყოველთვის უჭერდა და უჭერს მხარს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ნაციონალური კულტურების — ნაციონალური სკოლების, თეატრების განვითარებასა და აყვავებას, მზრუნველობით ზრდის ინტელიგენციის ნაციონალურ კადრებს. ის ეროვნებანი, რომლებიც წარსულში ჩამორჩენილი იყვნენ, ზოგადკაცობრიულ, თავისი შინაარსით **სოციალისტურ** კულტურას ეზიარებოდნენ ხოლმე იმ ფორმებით, რომლებიც მათს ენასა და ყოფაცხოვრებას შეესაბამებოდა. მას ისინი ეზიარებოდნენ როგორც ნაციონალური (ფორმით), ისე სოციალისტური (შინაარსით) კულტურის **ერთსა და იმავე დროს** განვითარების წესით. სწორედ იმიტომ, რომ დიდი ოქტომბრის მიერ აღორძინებული ერები ჩვენი ქვეყნისა არიან არა ძველი, ბურჟუაზიული ერები, არამედ ახალი, სოციალისტური ერები,—სწორედ ამიტომ ჩვენი საბჭოთა ერების ნაციონალური კულტურები თავისი შინაარსით სოციალისტური კულტურებია.

ყოველი მოკავშირე რესპუბლიკის მაგალითით, საბჭოთა კავშირში მოსახლე ყოველი ხალხის, ყოველი ერის მაგალითით შეგვიძლია ცხადად დავინახოთ, თუ რა უდიდეს წარმატებებს მიგაღწიეთ ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაში.

ამას წინათ მოსკოვში მიმდინარეობდა ტაჯიკური ლიტერატურის დეკადა —ნაციონალური ლიტერატურების ერთი იმ მრავალ დეკადათაგანი, რომლებიც ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში ეწყობა. დედაქალაქის საზოგადოებრიობამ ნახა ტაჯიკური ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმატებანი, მომძე ტაჯიკეთის რესპუბლიკის მწერლების, პოეტების, მსახიობების იდეური დონისა და მხატვრული ოსტატობის ზრდა.

ტაჯიკ ხალხს დიდი და ძველი კულტურა აქვს. მაგრამ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ეს კულტურა ვერ ვითარდებოდა, იგი ქვეითდებოდა სასტიკი კოლონიური და ფეოდალური ჩაგვრის პირობებში. რევოლუციამდელ დროში ტაჯიკეთის მოსახლეობა თითქმის მთლიანად წერა-კითხვის უცოდინარი იყო, და უკვე მარტო ეს მისთვის უცხოს, მიუწვდომელს ხდიდა ათასწლოვან ნაციონალურ კულტურას. კულტურა ტაჯიკი ხალხის კუთვნილება გახდა მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური წყობილების პირობებში.

მხოლოდ ოქტომბრის შემდეგ, მხოლოდ სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, დიდი რუსი ხალხის დახმარებით ტაჯიკეთმა მთელი სიძლიერით გაანავითარა თავისი საწარმოო ძალები. საკმარისია ითქვას, რომ უკვე 1940 წელს რესპუბლიკის მრეწველობა 1913 წელთან შედარებით 242-ჯერ გაიზარდა, შეიქმნა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა. სოციალისტური ეკონომიკის ასეთი ზრდის, საწარმოო ძალთა ასეთი სწრაფი განვითარების ბაზაზე გაიფურჩქნა ტაჯიკი ხალხის კულტურაც. ამჟამად რესპუბლიკაში არის სამი ათასამდე დაწყებითი და საშუალო სკოლა, ორმოცზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი და ტექნიკუმი, გამოდის 70-მდე რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთი, მასობრივი ტირაჟებით გამოდის წიგნები რუსულ და ტაჯიკურ ენებზე.

ტაჯიკი ხალხის დიდი კულტურული მიღწევანი, რომლებიც ასე მკაფიოდ იქნა ნაჩვენები დეკადის დროს, ტიპიურია სსრ კავშირის უკლებლივ ყველა ხალხისათვის. საბჭოთა სახელმწიფო წყობილებამ მოკლე ისტორიულ ვადაში აღმოფხვრა კულტურული ჩამორჩენილობა, რომელიც მთელმა რიგმა ერებმა მემკვიდრეობით მიიღეს წარსულისაგან, შესაძლებლობა მისცა ამ ერებს დასწეოდნენ ცენტრალურ რუსეთს და მასთან მხარდამხარ ევლოთ წინ.

კომუნისტური პარტიის მიერ ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის იდეოლოგიის სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა ადამიანები დიდი პატივისცემით ეპყრობიან იმ წვლილს, რაც თვითეულ ერს სოციალისტური კულტურის საერთო საგანძურში შეაქვს.

ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელები ფორმით ნაციონალური თავიანთი კულტურის განვითარებასთან ერთად ავითარებენ შინაარსით სოციალისტურ კულტურას, ვინაიდან ისინი შეადგენენ ახალი, საბჭოთა სოციალისტური ერების მძლავრ და ერთსულოვან ოჯახს, ერებისა, რომლებიც ურღვევი ინტერნაციონალური კავშირით არიან შედუღებულნი და ურთიერთშორის ნაყოფიერად თანამშრომლობენ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავი. ჩვენი ხალხი მხურვალე და ღრმა პატრიოტული სიამაყის გრძნობით აჯამებს ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულ თავის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა შედეგებს. ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ის ფაქტი, რომ ამ რევოლუციამ, როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, საქმით ცხადყო „ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების **პროლეტარული, ინტერნაციონალური** მეთოდის, როგორც ერთადერთი სწორი მეთოდის, შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა“, საქმით ცხადყო **„ნებაყოფლობისა** და **ინტერნაციონალიზმის** საფუძველზე სულ სხვადასხვა ხალხთა მუშებისა და გლეხების **ძმური კავშირის** შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა“.

სწორედ ამ საფუძველზე სსრ კავშირის ხალხები თავიანთ კულტურულ განვითარებაში დაეწივნენ და შორს მოიტოვეს უკან ის ქვეყნები, სადაც ბატონობს ბურჟუაზია, რომელიც მშრომელ მასებს შორის ეროვნულ შუღლს აჩაღებს. სსრ კავშირის ყველა ხალხის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავება იმ უდიდესი მუშაობის შედეგია, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია ეწეოდა და ეწევა. პარტიამ ხალხები მეკავშირეა ერთიან ძმურ ოჯახად, დაუღალავად ზრდის ამ დიადი მრავალეროვანი ოჯახის ყველა წევრს საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, რომელშიც ჰარმონიულად შეხამებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნული ტრადიციები და ყველა მშრომელის საერთო საარსებო ინტერესები.

საბჭოთა კავშირის დიდი გამოცდილება აღმაფრთოვანებელი მაგალითია სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის გზას დაადგნენ და კულტურის მხრივ განუზომლად უფრო შორს წავიდნენ, ვიდრე ბურჟუაზიული წყობილების არსებობის მრავალი ათეული წლის მანძილზე.

მხოლოდ მზარდი, განუხრელად წინმავალი სოციალისტური საზოგადოებაა მოწინავე კულტურის მატარებელი. კაპიტალისტურ წყობილებას ძირი ულუპება, იგი დაღუპვისათვის არის განწირული, და ამიტომ ბურჟუაზიული ერების თანამედროვე კულტურა სულ უფრო ეცემა, დეგრადაციას განიცდის, იხრწნება. ახალი, სოციალისტური ერების კულტურა კი განუწყვეტლივ იფურჩქნება და სულ უფრო ვითარდება.

ჩვენ ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, როცა სოციალისტური ერები, რომელთა ოჯახიც იზრდება და მტკიცდება, ცივილიზაციის, პროგრესის, კულტურის ნამდვილ მედროშეებს წარმოადგენენ!

„პრავდის“ 8-X მოწინავე

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★ ★ ★

შეუმბი ეხმარებიან აღგილობრივი მრეწველობის საწარმოებს

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მსხვილი ფაბრიკა-ქარხნები მოსკოველთა მაგალითისამებრ თვალსაჩინო დახმარებას უწევენ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს.

აბრეშუმკომბინატისა და მაუდის ფაბრიკის კოლექტივებმა თავის შეფს — სატრიკოტაჟო ფაბრიკას დიდძალი ნედლეული მიაწოდეს. პირველმა სატრიკოტაჟო ფაბრიკას გადასცა 188 ათასი მანეთის გრეჯა და ბამბის ნართი, ხოლო მეორემ—41 ათასი მანეთის შალის ნაწეწი. აღნიშნული ნედლეულით საწარმომ დამატებით გამოუშვა 2 ათასი ცალი ლეიბის საპირე და 10.372 მეტრი ქსოვილი.

გარდა ამისა, აბრეშუმკომბინატის კვალიფიციური ოსტატები სერიოზულად ეხმარებიან სატრიკოტაჟო ფაბრიკას მანქანა-დანადგარების გამართულად მუშაობაში. მაგალითად, კომბინატის საქსოვი საამქროს უფროსის ინჟინერ გ. კახაძის ხელმძღვანელობით ფაბრიკაში დაიდგა 12 ახალი დაზგა, რომლებიც გამართულად მუშაობენ.

ასევე სერიოზულად დაეხმარა ლიტოპონის ქარხნის კოლექტივი ქიმიურ და მექანიკურ ქარხნებს. მან ქიმიურ ქარხანას საგრძნობი რაოდენობით გადასცა ლიტოპონის ნარჩენი, რითაც დამზადებულ იქნა საუკეთესო ხარისხის 15 ტონა დეკორაციული საღებავი. შეფის დახმარებით მექანიკური ქარხნის საამქროები ამჟამად უზრუნველყოფილი არიან გოგირდის მჟავითა და კოქსით.

ყურძნის უხვი მოსავალი

სილნაღი. (საკ. კორ.). მევენახეობის ქუმბათის მეურნეობაში (დირექტორი ა. ჭუჭულაშვილი) აგროწესების განხორციელების შედეგად წელს ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ.

რგოლმა, რომელსაც ვანო ბენაშვილი ხელმძღვანელობს, ყოველ ჰექტარზე მიიღო 110 ცენტნერი ყურძენი. თვით მერგოლურმა ბენაშვილმა მისთვის მიჩენილ ერთ ჰექტარ ფართობზე მოკრიფა 115 ცენტნერი ყურძენი, მევენახე ა. ბეიტრიშვილმა—105 ცენტნერი.

ასევე უხვი მოსავალი მოიყვანეს ა. ხახდოლიშვილმა და ვასო კვირიკაშვილმა.

ჩაის კულტურა ჭიათურის რაიონში

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სპეციალურმა ბრიგადამ, რომელსაც ინსტიტუტის დირექტორი ირ. გამყრელიძე ხელმძღვანელობდა, შეისწავლა ჭიათურის რაიონის ნიადაგის თავისებურებანი და დაასკვნა, რომ ჭიათურის რაიონში შეიძლება განვითარდეს და საუცხოოდ იხეიროს ჩაის კულტურამ.

ჩაის ბუჩქისათვის კარგი პერსპექტივა და ხელსაყრელი პირობებია სოფელ გეზრულში, საკურწეში, ღვითორში, ეწერსა და ბიღაში. მომავალ წლიდან გათვალისწინებულია ჩაის პლანტაცია გაშენდეს 600 ჰექტარზე. დაიწყო პლანტაციისათვის ნიადაგის მომზადება.

როგორ ასრულებენ მეჩაიეები ნაკისრ ვალდებულებებს

წაქართველოს მეჩაიეობის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდ სტალინს პირობა მისცეს მიმდინარე წელს მოკრიფონ და მრეწველობას წლიური გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 5.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. როგორ ასრულებენ მეჩაიეები ამ პირობას?

აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 800 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. 5 ოქტომბრისათვის გეგმის გადამეტებით აფხაზეთში მოკრეფილი ჰქონდათ 464,8 ტონა.

წულუკიძის რაიონმა გეგმის გადამეტებით მოკრიფა 291,6 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულებით უნდა მოეკრიფა 250 ტონა.

ქუთაისის რაიონს ნაკისრი ვალდებულებით 212 ტონა ფოთოლი უნდა მოეკრიფა, მოკრიფა 241,5 ტონა.

წყალტუბოს რაიონის მეჩაიეებს ნაკისრი აქვთ 120 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა, აქედან მოკრეფილი აქვთ 67,8 ტონა.

ტყიბულელებმა გეგმის გადამეტებით 275,5 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. ნაკისრი ვალდებულებით კი 200 ტონის მოკრეფას ითვალისწინებდნენ.

ცხაკაიას რაიონის მეჩაიეებმა გეგმის გადამეტებით მოკრიფეს 205,3 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულებით კი უნდა მოეკრიფათ 200 ტონა.

აბაშის რაიონს, რომელმაც გეგმის გადამეტებით 60 ტონის მოკრეფა იკისრა, მოკრეფილი აქვს 32,6 ტონა.

გეგეჭკორის რაიონის მეჩაიეებმა გადაჭარბებით შეასრულეს თავიანთი ვალდებულება. ნაცვლად 500 ტონისა გეგმის გადამეტებით მოკრიფეს 685,9 ტონა ჩაის ფოთოლი.

ზუგდიდელებმა იკისრეს 1.000 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა, აქედან მოკრეფილი აქვთ 619,6 ტონა.

წალენჯიხის რაიონმა გეგმის გადამეტებით 228,8 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ვალდებულება კი 350 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფას ითვალისწინებს.

ხობის რაიონმა გეგმის გადამეტებით 100 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა იკისრა. აქედან მოკრეფილი აქვს 36,5 ტონა.

სამტრედიელებმა გეგმის გადამეტებით მოკრიფეს 40,1 ტონა ჩაის ფოთოლი.

ჩხოროწყუს რაიონის მეჩაიეებმა გადაჭარბებით შეასრულეს თავიანთი ვალდებულება, ნაცვლად 300 ტონისა, გეგმის გადამეტებით მოკრიფეს 300,5 ტონა ჩაის ფოთოლი.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ბელადის სახელობის ქარხანაში

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საამქროთა კოლექტივები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ კიროველ დაზგათმშენებელთა მოწოდებას საოქტომბრო შეჯიბრების გაშლის შესახებ.

ქარხნის საბარგო-სავაგონო საამქროს კოლექტივის წინაშე, რომელმაც მიმდინარე წელს სამშობლოს 2,5 მილიონი მანეთი ეკონომია მისცა, ამჟამად ვაგონ-მაცივრების შეკეთების დიდად პასუხსაგები ამოცანა დგას. ამ ამოცანის წარმატებით შესრულების მიზნით საამქროს კოლექტივი ჩაება საოქტომბრო შეჯიბრებაში და გეგმის 115 პროცენტით შესრულება იკისრა. ამავე საამქროს ზეინკალთა მოწინავე ბრიგადამ, რომელმაც ხუთწლედის განვლილ პერიოდში 9 წლის ნორმა გამოიმუშავა, გეგმის სამმაგად და საუკეთესო ხარისხით შესრულება დაიკალა. მჭედელმა ბ. სადაღიშვილმა პირობა დადო ყოველთვიური დავალება 300 პროცენტით გაანაღდოს.

საბარგო-სავაგონო საამქრომ შეჯიბრებაში გამოიწვია სამგზავრო-სავაგონო საამქრო, რომელმაც მიიღო ეს გამოწვევა და გადიდებული ვალდებულებანი იკისრა. აღსანიშნავია, რომ სამგზავრო-სავაგონო საამქროს კოლექტივმა, რომელიც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა გეგმის შესრულებაში, სექტემბრის დასაწყისიდან გაუმჯობესა მუშაობა.

ორთქლმავლის ამწყობი საამქროს ძველმა მუშამ, ოსტატმა ა. ხიზანაშვილმა საოსტატოს სახელით პირობა დადო ორთქლმავლის ძველი ნაწილების აღოვენითა და გამოყენებით ოქტომბერში გასწიოს 35 ათასი მანეთი ეკონომია.

ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე სატენიერო, სამჭედლო, მექანიკურ, საქვაბე, სამსხმელო და საიარაღო საამქროებმაც. **(ჩვენი კორ.).**

ფოთის სამრეწველო კომბინატის ნარმაჯება

ფოთი. (ჩვენი კორ.). სამრეწველო კომბინატში გაერთიანებულმა ყველა საწარმომ გადაჭარბებით შეასრულა მესამე კვარტალისა და ცხრა თვის საწარმოო გეგმები. ცხრა თვის გეგმა შესრულებულია 110 პროცენტით, მესამე კვარტალისა — 108, ხოლო სექტემბრისა — 140 პროცენტით. გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ აგურისა და ლუდის ქარხნები, სატრიკოტაჟო და საკონდიტრო ფაბრიკები.

კომბინატის საწარმოთა კოლექტივები ჩაებნენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრეს წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულება და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 100 ათასი ცალი აგურის, 100 ჰექტოლიტრი ლუდის, 15 ტონა საკონდიტრო ნაწარმის, 300 კუბმეტრი შეშის, 200 კუბმეტრი სახერხე-ტყისა და სხვა პროდუქციის გამოშვება.

გაძლიერდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა

მახარაძე. (საკ. კორ.). საკოლმეურნეო სოფლებსა და ქ. მახარაძეში ამჟამად ასობით კოლმეურნე, მუშა და მოსამსახურე საკუთარი სახსრებით აგებს საცხოვრებელ ბინებს.

ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს. წელს მარტო ქ. მახარაძეში 100-ზე მეტი კაცი იშენებს საცხოვრებელ ბინას. 40 ოჯახმა სახელმწიფოსაგან მიიღო 400 ათასი მანეთი გრძელვადიანი კრედიტი.

ბინათმშენებლებს სახელმწიფო დიდი რაოდენობით აძლევს აგრეთვე ხეტყესა და სხვა საშენ მასალებს. მარტო „გლავლესოსბიტის“ მახარაძის ხეტყის საწყობმა წელს 1.500-ზე მეტი კუბმეტრი ფართო მოხმარების ხეტყის მასალა მიიღო. მასალის რეალიზაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. საწყობთან მოეწყო სახერხი ქარხანა, რაც ბინათმშენებლებს საშუალებას აძლევს მათთვის საჭირო ზომების მიხედვით დახერხონ აქვე შეძენილი მასალა.

ახალი საშუალო სკოლა

ხულო. (საკ. კორ.). რაიონში ფართოდ გაჩაღდა სასკოლო მშენებლობა. მარტო წელს ახალი შენობები აიგო 20-მდე დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლისათვის. საგრძნობლად გაუმჯობესდა აგრეთვე მასწავლებელთა ბინებით უზრუნველყოფის საქმე.

1 სექტემბრიდან უჩამბის 8-წლიანი სკოლა გადაკეთდა საშუალო სკოლად, აქვე გაიხსნა მოსწავლეთა ინტერნატი, მაგრამ სკოლის ყოფილი შენობა ახლად გახსნილი საშუალო სკოლის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა. ამ მიზნით კოლმეურნეებმა დაიწყეს ახალი სასკოლო შენობის მშენებლობა, რომელსაც 20 საკლასო ოთახი და რამდენიმე კაბინეტი ექნება. სკოლის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. საშუალო სკოლის ყველა კლასი მოკლე დროში ახალ შენობაში მოთავსდება.

სასოფლო ბიბლიოთეკები

წალენჯიხა. (საკ. კორ.). სოფელ მიქავაში გაიხსნა ახალი ბიბლიოთეკა. შეძენილია 8.000 მანეთის წიგნები. ბიბლიოთეკა მომსახურებას გაუწევს მიქოიანის, დიმიტროვის და უტუ მიქავას სახელობის კოლმეურნეობებს.

ბიბლიოთეკები გაიხსნა აგრეთვე სოფელ ჯვარის სტალინის, ლიის კალინინისა და მუჟავას მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში.

7 ნოემბრამდე ბიბლიოთეკა გაიხსნება სოფელ ჯგალში. იგი მომსახურებას გაუწევს ამ სოფელში შემავალ კოლმეურნეობებს.

მეფრინველეობის საინკუბაციო საღგური

დუშეთი. (საკ. კორ.). რაიონულ ცენტრში შეუდგნენ მეფრინველეობის საინკუბაციო საღგურის მშენებლობას. საღგურმა წელიწადში 100.000 წიწილა უნდა გამოჩეკოს.

საღგურის მშენებლობა დამთავრდება მიმდინარე წლის ნოემბერში, ხოლო მოწყობილობის მონტაჟი წლის ბოლომდე.

სოციალისტური შრომის გმირები

შ. ა. ხიტირი

პარტიის ლანჩხუთის რაიონული კომიტეტის მდივანი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 25,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის.

ნ. ვ. შაიაშვილი

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანების“ მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 105,9 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ა. გ. მიტიჩაშვილი

გურჯაანის რაიონის ველისციხის სახოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 106,0 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ჯ. თ. მიხაილიდი

ბათუმის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარი აგრონომი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 15,2 პროცენტის გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის.

ლენინ-სტალინის პარტიის სათავეებთან

(ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე ტომის ქართულად გამოცემის გამო)

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე ტომში შესული ნაშრომები დაწერილია 1898 წლის თებერვლიდან 1901 წლის თებერვლამდე. ეს ნაშრომები მიძღვნილია მუშათა მოძრაობაში რევოლუციური მარქსიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლისადმი, ნაროდნიკების, „ლეგალური მარქსისტებისა“ და „ეკონომისტების“ ანტირევოლუციურ შეხედულებათა მხილებისა და განადგურებისადმი.

ნაშრომები, რომლებიც შეტანილია მეოთხე ტომში, შეიცავენ ლენინიზმის ფასდაუდებელ თეორიულ სიმდიდრეს, მოწინავე იდეების ამოუწურავ განძს. 1895-1900 წლები წარმოადგენენ იმ პერიოდს, როდესაც დასრულდა ძველი, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის შეცვლა იმპერიალისტური კაპიტალიზმით, როცა კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობანი უკიდურესად გამწვავდნენ და პროლეტარული რევოლუცია უშუალო პრაქტიკის საკითხად გადაიქცა. სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულის IV ტომში შესული ნაშრომები.

• • •

როგორც ცნობილია, 1898 წელს ადგილი ჰქონდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანების ცდას — მოწვეულ იქნა რსდმპ პირველი ყრილობა. მაგრამ ყრილობამ ვერ შეძლო გაეერთიანებინა და ორგანიზაციულად შეეკავშირებინა ცალკეული მარქსისტული ორგანიზაციები და წრეები. პირველი ყრილობის შემდეგ ადგილობრივ ორგანიზაციებში მატულობდა იდეური დაბნეულობა, რასაც აძლიერებდა „ეკონომისტების“ ოპორტუნიზმი.

ლენინის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის სფერო ამ პერიოდში მრავალფეროვანია, მთელ რიგ ნაწარმოებებში, რომლებიც შეტანილია მეოთხე ტომში, მოცემულია მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის შემდგომი განვითარება. რეცენზიაში ა. ბოგდანოვის წიგნზე „ეკონომიური მეცნიერების მოკლე კურსი“, ლენინი აღნიშნავს, რომ სწორია პოლიტიკური ეკონომიის განსაზღვრა როგორც მეცნიერებისა, რომელიც სწავლობს წარმოებისა და განაწილების საზოგადოებრივ ურთიერთობებს მის განვითარებაში. მაგრამ ლენინი ამასთან ერთად ხაზს უსვამს, რომ ამა თუ იმ სამეურნეო სისტემის შესწავლისას საჭიროა გარკვეულ იქნას ამ სისტემის ისტორიული მნიშვნელობაც, მისი წარმოშობის პროცესი (და პირობები) და მისი შემდგომი განვითარების ტენდენციებიც. ამგვარად, ლენინის შეხედულებით პოლიტიკური ეკონომია უაღრესად ისტორიული მეცნიერებაა, იგი მეცნიერულ საფუძველზე დაყენებულ იქნა მას შემდეგ, რაც მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს ისტორიის მატერიალისტური გაგება.

90-იანი წლების დასასრულს რუსული ლეგალური ჟურნალების ფურცლებზე გაიშალა დავა ბაზრების თეორიის საკითხზე. ლენინის ნაშრომები: „შენიშვნა ბაზრების თეორიის საკითხისათვის (ბბ. ტუგან-ბარანოვსკისა და ბულგაკოვის პოლემიკის გამო)“, „კიდევ რეალიზაციის თეორიის საკითხისათვის“, „კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში (კაუტსკის წიგნისა და ბ-ნ ბულგაკოვის სტატიის შესახებ)“, „პასუხი ბ-ნ ნეჟდანოვს“ და სხვ. მიძღვნილია ბაზრების მარქსისტული თეორიის საკითხისადმი და აგრეთვე „ლეგალური მარქსისტების“ მცდარ შეხედულებათა კრიტიკისადმი. „ლეგალური მარქსისტები“ მარქსის მოძღვრებიდან უკუაგდებდნენ ყველაზე მთავარს — მოძღვრებას პროლეტარიატის დიქტატურაზე. ტუგან-ბარანოვსკი და სტრუვე უარყოფდნენ კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობას, რაც აუცილებლად იწვევს კაპიტალიზმის დაღუპვას პროლეტარული რევოლუციის გზით. ლენინი წერდა: „კაპიტალიზმის განვითარება შეუძლებელია მთელ რიგ წინააღმდეგობათა გარეშე, და ამ წინააღმდეგობებზე მითითება მხოლოდ არკვევს ჩვენთვის კაპიტალიზმის ისტორიულად წარმავალ ხასიათს, არკვევს უმაღლეს ფორმაში მისი გადასვლის მისწრაფების პირობებსა და მიზეზებს“ (თხზ. ტ. IV, გვ. 62).

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ჩვენს ქვეყანაში, სახალხო დემოკრატიის რეჟიმის გამარჯვება ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში წარმოადგენენ ლენინური განჭვრეტის ბრწყინვალე დადასტურებას კაპიტალიზმის ისტორიულად წარმავალი ხასიათის შესახებ.

„ლეგალური მარქსისტები“ თვლიდნენ, რომ კაპიტალისტური კრიზისები გამომდინარეობენ არა კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობებიდან, არამედ მათ იწვევენ შემთხვევითი მიზეზები; ისინი ამბობდნენ, რომ რამდენადაც ვითარდება კაპიტალიზმი, იზრდება კაპიტალიზმის ორგანიზებულობა, იმდენად კრიზისები ნელდებიან და შეიძლება მოსპობილ იქნენო.

წინააღმდეგ ასეთი აზრისა შეხედულებებისა, ლენინი აღნიშნავდა, რომ კრიზისების ახსნა არ შეიძლება შემთხვევითი მიზეზებით, რომ კრიზისების მიზეზია კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა — წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად კრიზისები კი არ ნელდებიან, არამედ ღრმავდებიან, მწვავდებიან, უფრო და უფრო ხანგრძლივი ხდებიან. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ კრიზისების მოსასპობად საჭიროა მისი მიზეზის, კაპიტალიზმის მოსპობა.

ლენინის ნაშრომი „კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში (კაუტსკის წიგნისა და ბ-ნ ბულგაკოვის სტატიის შესახებ)“ აგრეთვე მიმართულია „ლეგალური მარქსისტების“ წინააღმდეგ. ბულგაკოვი ამტკიცებდა, რომ წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის კანონი, აღმოჩენილი მარქსის მიერ, გამოუსადეგარია მიწათმოქმედების მიმართ, რომ წვრილი მეურნეობანი მსხვილ მეურნეობებთან ბრძოლაში სოფლის მეურნეობაში იჩენენ „სიმტკიცეს“, ადგილი არა აქვს წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგებას, პროლეტარიზაციას, გაღატაკებას და სხვ.

წინააღმდეგ ბულგაკოვისა, ლენინმა, ანალიზი გაუკეთა რა იმდროინდელი რუსეთის სოფლის ცხოვრებას, დაამტკიცა, რომ სოფლად ბატონობს მსხვილი კულაკური მეურნეობანი, გლეხობის ძირითადი მასები განიცდიან მზარდ დიფერენციაციას, ადგილი აქვს გაძლიერებულ პროლეტარიზაციას. ლენინი აღიარებდა კაპიტალიზმის განვითარების პროგრესულ როლს სოფლის მეურნეობაში, უკავშირებდა აღნიშნულ პროცესს გლეხობის განთავისუფლებას ბატონყმური მონობისაგან.

• • •

მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთში ფართოდ გაიშალა პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობა. მუშათა მოძრაობის აღმავლობა და რევოლუციის აშკარა მოახლოება მოითხოვდა მუშათა კლასის ერთიანი ცენტრალიზებული პარტიის შექმნას, ისეთი პარტიისა, რომელიც შეძლებდა რევოლუციური მოძრაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევას. მაგრამ 1898 წლის შემდგომი პერიოდი გახდა პარტიაში იდეური და ორგანიზაციული დაქსაქსულობის, დაბნეულობის გაძლიერების პერიოდი. ამიტომ ლენინის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო იმისაკენ, რომ ბოლო მოღებოდა ამ დაქსაქსულობას, არაორგანიზებულობას.

ერთიანი ცენტრალიზებული პარტიის შექმნის წინააღმდეგ გამოდიოდნენ „ეკონომისტები“.

სტატიაში „ჩვენი უახლოესი ამოცანა“ ლენინი მოითხოვდა რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატების გაერთიანებას მტკიცე ნიადაგზე, რათა მათ ეხელმძღვანელათ მუშათა კლასისათვის კაპიტალისტების მთელი კლასის და ამ კლასის დამცველი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ლენინი წერდა: „ამ გაერთიანების განხორციელება, მისთვის შესაფერისი ფორმის გამომუშავება და ვიწრო ადგილობრივი დაქსაქსულობისაგან საბოლოოდ განთავისუფლება — ასეთია რუსი სოციალ-დემოკრატების უახლოესი და უაღრესად საარსებო ამოცანა“ (იქვე, გვ. 257).

და სწორედ მუშათა კლასის პარტიის აშენების ამოცანას მოჰკიდეს ხელი ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა.

ლენინის თხზულებათა მეოთხე ტომში შეტანილია ლენინის ნაშრომები, რომლებიც მიმართული იყო „ეკონომისტების“ წინააღმდეგ: „რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი“, სტატიები „რაბოჩაია გაზეტასათვის“ („ჩვენი პროგრამა“, „ჩვენი უახლოესი ამოცანა“, „საარსებო საკითხი“) და სხვ. აღნიშნულ სტატიებში ლენინი ამხილებდა „ეკონომისტების“ ოპორტუნიზმს, რომლებიც ილაშქრებდნენ პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის შექმნის წინააღმდეგ.

ლენინი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ მუშათა პარტიის შექმნა დაწყებულიყო პარტიის II ყრილობის მოწვევით. იგი თვლიდა, რომ ყრილობის მოწვევამდე საჭიროა ვიცოდეთ, როგორი პარტიის აშენება გვინდა, საჭიროა იდეურად გავემიჯნოთ „ეკონომისტებს“. სტატიაში „ისკრის“ რედაქციის განცხადება“ ლენინი წერდა: „სანამ გავერთიანდებოდეთ, და იმისათვის, რომ გავერთიანდეთ, ჩვენ ჯერ გადაჭრით და გარკვევით უნდა გავიმიჯნოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი გაერთიანება მხოლოდ ფიქცია იქნებოდა, არსებული დაბნეულობის მიმჩქმალავი და მისი რადიკალურად აღმოფხვრის ხელისშემშლელი“ (იქვე, გვ. 434).

ლენინი თვლიდა, რომ მუშათა პოლიტიკური პარტიის აშენება დაწყებულ უნდა იქნას საერთო-რუსული ებრძოლი პოლიტიკური გაზეთის ღაარსებით. „...ჩვენ უახლოეს მიზნად უნდა დავისახოთ, — წერდა ლენინი,— **პარტიის ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც რეგულარულად გამოვა და მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ყველა ადგილობრივ ჯგუფთან**“ (გვ. 261).

ლენინის აზრით, პარტიულ ორგანოს უნდა გაეერთიანებინა რუსეთის მთელი პროგრესული ძალები, ეწარმოებინა რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდა და გამოეცხადებინა დაუნდობელი ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. „ისკრა“ გახდა სწორედ ასეთი გაზეთი. როგორც ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, „ისკრის“ შექმნა, ამ საერთო-რუსეთის არალეგალური გაზეთის დაარსება იყო „ძირითადი რგოლი და ძირითადი ამოცანა რგოლების ჯაჭვში და ამოცანების ჯაჭვში, რომლებიც იდგა მაშინ პარტიის წინაშე...“ (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 6. გვ. 188-189).

პარტიის ორგანოს დაარსების ამოცანის გადაწყვეტასთან ერთად ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ორგანიზაციული ფორმის საკითხებს, ილაშქრებდა „კუსტარობის“ წინააღმდეგ.

ლენინი პარტიის წინაშე აყენებდა ამოცანას მომზადებულიყო პროფესიონალ-რევოლუციონერთა კადრები „...ისეთი ადამიანები, რომელნიც რევოლუციას შესწირავენ არა მარტო თავისუფალ საღამოებს, არამედ მთელ თავის სიცოცხლეს“ (იქვე, გვ. 455).

სტატიაში „უკუსვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში“ ლენინი ანადგურებს „ეკონომისტების“ იმ ჯგუფს, რომლის ორგანოსაც წარმოადგენდა გაზეთი „რაბოჩაია მისლ“.

საერთო პარტიული ორგანოს შექმნის ორგანიზაციასთან ერთად, ლენინი უახლოეს ამოცანად თვლიდა საერთო-პარტიული პროგრამის გამომუშავების საკითხს. ამ საკითხის დამუშავებას ლენინმა მიუძღვნა სტატიები: „ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი“ და „ჩვენი პროგრამა“, რომლებიც შეტანილია თხზულებათა მეოთხე ტომში. რუსეთში მუშათა მოძრაობის გაღლის შედეგად საჭირო იყო მუშათა პარტიის ისეთი პროგრამის გამომუშავება, რომელიც მკაფიოდ, მეცნიერულად ჩამოაყალიბებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ამოცანებს.

ლენინი მოითხოვდა პროგრამაში ნათლად ყოფილიყო მოხაზული კაპიტალიზმის ძირითადი ტენდენცია: ხალხის გათიშვა ბურჟუაზიად და პროლეტარიატად, „სიღატაკის, ჩაგვრის, დამონების, დამცირებისა და ექსპლოატაციის ზრდა“ და აგრეთვე ის მოვლენები, რომლებიც მეტად აწუხებენ, და ამასთან შეტადაც აღმფოთებენ მუშათა მასებს (უმუშევრობა, მცირე ხელფასი, ულუკმაპურობა, შიმშილი, კაპიტალის სასტიკი დისციპლინა, პროსტიტუცია, შინა მომსახურეთა რიცხვის ზრდა და სხვ.).

მუშათა კლასის მდგომარეობის ლენინური დახასიათება კაპიტალისტურ ქვეყნებში თავის ცხოველმყოფელ ძალას და მნიშვნელობას ინარჩუნებს დღესაც, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირობებში, როდესაც სისტემატურად იზრდება მუშათა კლასის როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი გაღატაკება. მთელი სახალხო სიმდიდრის უდიდესი ნაწილი თავმოყრილია ერთი მუჭა კაპიტალისტური მაგნატების ხელში. ლანდბერგი წიგნში: „ამერიკის 60 ოჯახი“ აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე უფრო მდიდარი ფენა, რომელიც შეადგენს მოსახლეობის 1 პროცენტს, ფლობს მთელი სიმდიდრის 59 პროცენტს, მოსახლეობის 12 პროცენტი—სიმდიდრის 33 პროცენტს, ხოლო მოსახლეობის 87 პროცენტი — მთელი სიმდიდრის 8 პროცენტს. ინგლისში მესაკუთრეთა 2 პროცენტზე ნაკლები ფლობს მთელი ნაციონალური სიმდიდრის 64 პროცენტს. მაშინ როდესაც მშრომელი მასები განიცდიან აუტანელ სიღატაკეს, მილიონები იხარჯება ბანკეტებსა და საღამოებზე. ამერიკელი მილიარდერის ალვა ვანდერბილტის ერთ-ერთმა ქალიშვილმა ერთი ასეთი ბანკეტის მოსაწყობად დახარჯა 250 ათასზე მეტი დოლარი, რაც უდრის ამერიკის 700-800 საშუალო შემძლების ფერმერის წლიურ შემოსავალს.

ლენინს მიაჩნდა, რომ პარტიის პროგრამაში ხაზგასმით ყოფილიყო მოცემული პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის დახასიათება, კლასობრივი ბრძოლის მიზნების აღნიშვნა, პროლეტარიატის პოლიტიკური განთავისუფლება.

პროგრამის პროექტში ლენინმა დაამუშავა აგრარული საკითხიც. რევოლუციის მსვლელობაში პროლეტარიატს შეეძლო და უნდა გაეყოლიებინა კიდეც გლეხობა, რომ გლეხობასთან შეკავშირებით მოეპოვებინა ცარიზმზე გამარჯვება.

ნაშრომებმა, რომლებიც შეტანილია თხზულებათა მეოთხე ტომში, უდიდესი როლი შეასრულეს ბოლშევიკური პარტიის შექმნის საქმეში. სტატიებში: „ჩვენი პროგრამა“, „საარსებო საკითხი“, „ჩვენი უახლოესი ამოცანა“, „უკუსვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში“, „ჩვენი მოძრაობის საარსებო ამოცანები“ და სხვ. მოცემული იყო იდეები, რომელთა განვითარება ლენინმა მოგვცა გენიალურ ნაშრომში — „რა ვაკეთოთ?“, და ოომელშიც მან დაამუშავა მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები.

• • •

ვ. ი. ლენინის თხზულებათა IV ტომში შესული ნაწარმოებები საბჭოთა კადრებს აიარაღებს საზოგადოებრივი განვითარების კანონების ღრმა ცოდნით. პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკებს, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესწავლა, აღნიშნულ ნაწარმოებთა გაცნობა დიდად დაეხმარება ამ საპატიო ამოცანის შესრულებაში.

ს. ინწკირველი

ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში

6 ოქტომბერს აკადემიკოს ს. ი. ვავილოვის თავმჯდომარეობით შედგა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა. მოსმენილ იქნა აკადემიკოს ვ. ნ. სუკაჩევის მოხსენება და აკადემიკოს ა. ი. ოპარინის თანამოხსენება. მათ აღნიშნეს იმ საბჭოთა მეცნიერების მუშაობის პირველი შედეგები, რომლებიც აქტიურად უწყობენ ხელს ტუყის გარდაქმნის დიდი სტალინური გეგმის განხორციელებას.

წელს მეცნიერებათა აკადემიის თერთმეტი საექსპედიციო რაზმი გაემგზავრა მინდორსაცავი ტყის გაშენების რაიონებში, სადაც შეისწავლეს მომავალი საველმწიფო სატყეო ზოლების ტერიტორიის ბუნებრივი პირობები და დამპარება გაუწიეს ნარგავთა ტექნიკური პროექტების შემდგენელთ. მეცნიერებმა შეიმუშავეს ამ ტყის ნარგავთა გაშენების ყველაზე სრულყოფილი ხერხები და ტყის მეურნეობის გაძღოლის რაციონალური მეთოდები.

ექსპედიციის ძირითადი მუშაობა დაიწყება 1950 წელს. მუშაობის მონაწილეები — მტყეველები, ნიადაგმცოდნეები, გეოგრაფები, ბოტანიკოსები, ჰიდროლოგები — სისტემატურ დამპარებას გაუწევენ საწარმოო ორგანიზაციებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში ტყის ნარგავთა მთელი სისტემის შექმნაში, ნიადაგთა მელიორაციის გამოყენებაში, აგროტექნიკურ ღონისძიებათა დაგეგმვაში და სხვ.

დიდი მნიშვნელობა აქვს სპეციალური სტაციონარული პუნქტების მოწყობას საცავი ტყის გაშენების ისეთ საკითხთა გადასაწყვეტად, რომლებიც განუწყვეტელ ხანგრძლივ დაკვირვებას მოითხოვენ. ამ სადგურთა ამოცანებს შეადგენს ხის ჯიშების ბიოლოგიის დაწვრილებით შესწავლა, ნარგავთა მოვლის მეთოდების შემუშავება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაზე ნარგავთა გავლენის შესწავლა.

სტაციონარული მეცნიერული მუშაობის ძირითადი ბაზა იქნება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ტყის ინსტიტუტის დერკულის სამეცნიერო-საკვლევი მინდორსაცავი სატყეო სადგური. დერკულის სადგურის კოლექტივი შეისწავლის მინდორსაცავი ტყის გაშენების მეცნიერულ საფუძვლებთან დაკავშირებულ საკითხთა მთელ კომპლექსს. ტერიტორია, სადაც სადგური მდებარეობს, განსაკუთრებით დამოკიდებულია ასეთი გამოკვლევისა და ცდებისათვის. აქ დაცულია 527 ჰექტარი პირველი მინდორსაცავი ტყე, რომელიც გაშენა გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ვ. ვ. დოკუჩაევმა.

პრეზიდიუმმა მოიწონა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების მიერ მინდორსაცავი ტყის გაშენების სამეცნიერო საკითხთა კომპლექსური ექსპედიციის მოსაწყობად გაწეული მუშაობა და დასახა ამ დარგში გამოკვლევის შემდგომი განვითარებისაკენ მიმართული მთელი რიგი საორგანიზაციო ღონისძიებანი. (საკდესი).

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოში

1.650 ახალი პროფკავშირული ბიბლიოთეკა

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ განიხილა პროფკავშირულ ბიბლიოთეკათა ქსელის გაფართოების საკითხი.

პროფკავშირებს 8.000-ზე მეტი ბიბლიოთეკა აქვთ დიდ სამრეწველო საწარმოებში, დაწესებულებებში, კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში. წიგნის საერთო ფონდში ირიცხება სამეცნიერო-ტექნიკური, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის ათეულ მილიონობით ტომი.

წელს 1.650 ახალი პროფკავშირული ბიბლიოთეკის მოსაწყობად ასიგნებულია 72 მილიონი მანეთი. ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებსა და იმ რაიონებში, რომლებმაც გერმანელ ფაშისტთა ოკუპაცია განიცადეს, უკვე გაიხსნა 1.330 ბიბლიოთეკა. 152 ბიბლიოთეკა მოეწყო ქვანახშირის მრეწველობის მუშებისათვის, 112 — რკინიგზელებისათვის, 70 — ფეიქრებისა და 50 — მეტალურგებისათვის. ათობით დიდი ბიბლიოთეკა გაიხსნა ნავთსარეწებში, ტორფის საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში.

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ წინადადება მისცა პროფორგანიზაციებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბიბლიოთეკის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას და მკითხველთა აქტივის მიზიდვას, რისთვისაც გამართონ ლექციები, გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, კონფერენციები. (საკდესი).

ი. პ. პავლოვის სახელობის პრემიების მინიჭება

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება ფიზიოლოგიის დარგის 1948-1949 წლების საუკეთესო ნაშრომთა ავტორებისათვის დიდი რუსი მეცნიერის ი. პ. პავლოვის სახელობის პრემიების მინიჭების შესახებ.

პრემია მიენიჭათ: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს გ. ვ. გერშუნის — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ი. პ. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს მ. ვ. სერგიევსკის — კუიბიშევის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს; სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ა. ვ. კიბიაკოვს—ყაზანის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის გამგეს და ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს ე. შ. აირაპეტიანცს — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ნერვული სისტემის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

ორი წრის მაგალითი

წრის სამეცადინო ოთახში ყველა მსმენელი დანიშნულ დროს გამოცხადდა. მსმენელებს პროპაგანდისტმა ნ. ლოლაძემ მოასწრო მოსვლა, სამზადისს შეუდგა, სამეცადინო ოთახი დაათვალიერა, თვალსაჩინოების მასალები გასინჯა. მეცადინეობა დაიწყო. მსმენელები გულმოდგინედ ისმენენ საუბარს, რომელიც წიგნზე მუშაობის ტექნიკას, სამუშაო გეგმისა და კონსპექტის შედგენის ხერხებს შეეხებოდა. ამ საკითხებზე საუბარი მხოლოდ 10 წუთს გაგრძელდა. შემდეგ თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სატენდერო საამქროს პარტორგანიზაციასთან არსებული ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრის მსმენელებმა ინტერესით მოისმინეს პროპაგანდისტის შინაარსიანი საუბარი ი. ბ. სტალინის ბავშვობასა და ყრმობაზე.

პროპაგანდისტს სასაუბრო თემა მოფიქრებულად ჰქონდა მომზადებული. საუბრის დროს მან უხვად გამოიყენა მასალები სტალინის ბავშვობისა და ყრმობის შესახებ, ძველ მუშათა მოგონებანი და სხვ. პროპაგანდისტმა მსმენელებს მკაფიოდ დაუხასიათა ის ეპოქა, რომელშიც ამხანაგ სტალინს უხდებოდა სწავლა, ილაპარაკა მეფის რეჟიმის დროინდელ სასწავლებლებსა და მით უფრო სასულიერო სემინარიებში გამეფებული აღზრდის აუტანელ მეთოდებზე, მოუყვა, თუ როგორ დევნიდნენ იმ შავბნელ პერიოდში ადამიანის თავისუფალ აზრს, თუ რა პირობებში უხდებოდა ახალგაზრდა სტალინს ცენზურის მიერ აკრძალული ლიტერატურის კითხვა, რა გავლენას ახდენდა იგი ამხანაგებზე და სხვ.

საუბრის დამთავრების შემდეგ მსმენელებმა სურვილი გამოთქვეს, რომ დაათვალიერონ სახლი ქალაქ გორში, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ამხანაგმა სტალინმა, ინახულონ ავლაბრის ყოფილი არალეგალური რესტავრირებული სტამბა და დიდი სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა ისტორიული ადგილები.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ითქმის ამავე ქარხნის ამწყობი საამქროს პირველად პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრის მეცადინეობის შესახებ.

მეცადინეობის დაწყების დროს სამეცადინო ოთახში 25-ის ნაცვლად მხოლოდ 11 მსმენელი იჯდა. პროპაგანდისტი მსმენელებს ელოდებოდა. კომუნისტები პ. ბედნანაშვილი, დ. კიკაბიძე და ვ. ჯაგაევი დაგვიანებით გამოცხადნენ. მეცადინეობა 20 წუთის დაგვიანებით დაიწყო.

წრეს გასულ სასწავლო წელს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის 8 თავი აქვს გავლილი. პროპაგანდისტს ი. ფარცხალაძეს მეცადინეობაზე არ შეუმოწმებია მსმენელთა ცოდნა გავლილი მასალების მიხედვით, მან პირდაპირ, გავლილ მასალასთან დაუკავშირებლად დაიწყო ახალი მასალის გადაცემა მე-9 თავიდან და შეუდგა მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლის პერიოდში ბოლშევიკური პარტიის მოღვაწეობის გაშუქებას.

პროპაგანდისტმა ილაპარაკა იმ დიდ სიძნელეებზე, რაც საბჭოთა ქვეყანას, ჩვენს პარტიას შეხვდა უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის შემდეგ, ილაპარაკა აღდგენითი პერიოდის სიძნელეებზე, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს პროპაგანდისტმა ჩამოაყალიბა ლექციის სახით, მან ვერ გამოიყენა ცოცხალი საუბრის მეთოდი, რითაც მას შეეძლო გამოეწვია მსმენელთა მეტი დაინტერესება. ამითაც უნდა ავხსნათ, რომ მეცადინეობაზე მსმენელთა აქტივობა დაბალი იყო.

საჭირო იყო პროპაგანდისტს რამდენიმე საკითხი დაეყენებინა მსმენელებისათვის გადაცემული მასალიდან და შეემოწმებინა შეთვისების ხარისხი; აღსანიშნავია ისიც, რომ მეცადინეობის დროს მან სრულიად არ გამოიყენა თვალსაჩინოება, რუკები, დიაგრამები და სხვა დამხმარე მასალები, თუმცა ამის ფართო შესაძლებლობა ჰქონდა.

ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ ამთავითვე უნდა მიიღოს საჭირო ზომები აღნიშნული წრის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ე. მამალაძე

პარჭიული აქჭივის კრებები

სოხუმი

სოხუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო ორგანიზაციის აქტივის კრება.

აქტივის კრებამ მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. შ. გეთიას მოხსენება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის შედეგებზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ სოხუმში განუხრელად იზრდება კაპიტალურ მშენებლობათა მასშტაბი, შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები, კულტურულ - საგანმანათლებლო და მშრომელთა საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები. კარგად მუშაობენ ქალაქის საბჭოს საგზაო და გამწვანების განყოფილებები, ელექტროსადგური. მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

ამხ. გეთიამ დაწვრილებით ილაპარაკა კაპიტალური მშენებლობის ნაკლოვანებებზე, აღნიშნა, რომ საუწყებო ორგანიზაციები ვერ ასრულებენ საბინაო მშენებლობის გეგმას. იმის გამო, რომ აფხაზეთის სსსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საპროექტო განყოფილება აჭიანურებს სამშენებლო ტექნიკური დოკუმენტების გაფორმებას, ფერხდება ტყავფეხსაცმლის კომბინატის დამხმარე ობიექტების მშენებლობა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ათმა კაცმა.

პარტიული აქტივის კრებამ კაპიტალური მშენებლობის დარგში მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ქუთაისი

ქუთაისი. (საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის ორგანიზაციის საქალაქო აქტივის კრებაზე, რომელმაც განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგები, მოხსენება გააკეთა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. კოპალიანმა.

ახალ სტალინურ ხუთწლედში, — თქვა მომხსენებელმა, — ქუთაისის მრეწველობა თვალსაჩინოდ იზრდება. მეოთხე წელია წარმატებით მიმდინარეობს მძლავრი საავტომობილო ქარხნის მშენებლობა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის სიამაყეს წარმოადგენს. ავტომშენებლებმა პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური დახმარებით გადაჭარბებით შეასრულეს მიმდინარე წლის 9 თვის დავალება და საექსპლოატაციოდ გადასცეს ათასობით კვადრატული მეტრი ფართობი, მათ შორის სახელოსნო სასწავლებლის ორსართულიანი შენობა, მუშა-მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებელი, საავადმყოფოს შენობა და კინოთეატრი.

მშენებლებს მეტი წარმატება ექნებოდათ, რომ არ იყოს შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, მუშა ხელის დაუტვირთველობა, უყურადღებობა სოციალისტური შეჯიბრების გაწლის საკითხისადმი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქის ახალმშენებლობათა შორის მაღალნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან სამთო მანქანათმშენებელი და შუშის ტარის ქარხნების მშენებლობათა კოლექტივები. გეგმის შესრულების საუკეთესო მაჩვენებლებთან ერთად იქ მაღალია შესრულებული სამუშაოების ხარისხი, გაზრდილია შრომის ნაყოფიერება, მიღწეულია საშენი მასალების თვალსაჩინო ეკონომია. ამ წარმატებათა მოპოვებაში დიდია მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციების როლი. მათ საუკეთესოდ მოაწყეს პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა მშენებლებში და გააძლიერეს კონტროლი მშენებლობის ცალკეული უბნებისადმი.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ავტომშენებლობის მთავარმა ინჟინერმა კ. პროზოროვმა, სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის მშენებლობის უფროსმა ნ. ალხაზიშვილმა, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგემ თ. ღიბრაძემ, ავტომქარხნის მშენებლობის პარტბიუროს მდივანმა ქ. ტყაბლაძემ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საალმშენებლო - სამონტაჟო სამმართველოს უფროსმა კ. ლორთქიფანიძემ და სხვებმა. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აქტივის ყურადღება გაამახვილეს მშენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზადებიან ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება-გადამუშავებისათვის

ოქტომბრის ბოლო რიცხვებიდან დაიწყება ციტრუსოვანთა შერჩევითი, ხოლო 15 ნოემბრიდან მასობრივი კრეფა, რაც ჩამბარებელთა და დამამზადებელთა წინაშე სერიოზულ ამოცანებს აყენებს.

მახარაძის რაიონში კოლმეურნეობებიდან და კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებიდან ციტრუსოვანთა ნაყოფის მიღება და გადამუშავება „საქკონსერვტრესტის“ მახარაძის რაიონული კანტორის ქალაქ მახარაძის, მერიის და ნატანების შემფუთავ ქარხნებს ევალება, ურეკის, ლაითურისა და ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობები კი თვითონვე გადაამუშავებენ და გაგზავნიან მათ მიერ მოწეულ ნაყოფს.

წელს რაიონში ციტრუსოვანთა მიღებისა და გადამუშავებისათვის მზადების საქმეში გასულ წლებზე უკეთესი მდგომარეობაა. ციტრუსების ყველა შემფუთავი ქარხანა უზრუნველყოფილია საგზავნი და სამუშაო ყუთებით, ნაყოფის შესახვევი და ვაგონების შესაფუთავი ქაღალდით, ლურსმნით და სხვა საჭირო ინვენტარით. შეკეთებულია ლიმონ-მანდარინის ტრესტის ურეკის საბჭოთა მეურნეობის, ნატანების და მერიის შემფუთავი ქარხნების შენობათა კორპუსები. ყველგან სრულ წესრიგშია ელექტროგაყვანილობა.

მერიის შემფუთავ ქარხანაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ფარდულის მშენებლობა, რომელიც 600 ათასი მანეთი ჯდება. აღნიშნული ქარხანა აწყობს აგრეთვე თხინვალის მიმღებ პუნქტს, რომელზეც 75.000 მანეთი დაიხარჯება. ნატანების შემფუთავ ქარხანასთან წელს აგებულ იქნა ტარის შესანახი ფარდული, ჩატარდა არსებული 2 ელექტროძრავის, 4 დამყალებელი მანქანის, მზა პროდუქციის გადამტვირთავი ტრანსპორტიორის რემონტი.

ძარგად მოიქცა „საქკონსერვტრესტის“ მახარაძის რაიკანტორა (მმართველი ამხ. შ. დობორჯგინიძე), რომელმაც კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოაწყო ერთთვიან კურსებზე გადამზადება ქარხნების დირექტორებისა, ტექნიკური ხელმძღვანელებისა, მწონავებისა, პუნქტების გამგეებისა და საანგარიშო დარგის მუშაკებისა. გადამზადებულ იქნა 33 ამხანაგი. განზრახულია აგრეთვე მოეწყოს მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების ერთკვირიანი კურსები.

ციტრუსოვანთა კრეფის სეზონისათვის მზადების საქმეში ზოგან ნაკლოვანებებიც არის. მარტო მახარაძის, მერიისა და ნატანების შემფუთავ ქარხნებს 800 მუშა სჭირდებათ, მაგრამ მხოლოდ 200-მდე კაცი ჰყავთ. ასეთივე მდგომარეობაა ურეკშიც. ამასთან ქარხნები უზრუნველყოფილი არ არიან ყველა სახის ინვენტარით.

შენობა, რომელშიც მახარაძის შემფუთავი ქარხანაა მოთავსებული, მუშაობისათვის თითქმის უვარგისია. საჭიროა სპეციალური შენობის აგება. ამ ქარხანაში ამჟამად მხოლოდ ერთი დამყალებებელი მანქანაა, მეორე მანქანის დამზადებაზე შეკვეთა მიღებული აქვს თბილისის კალინინის სახელობის ქარხანას. მაგრამ თუ ეს სამუშაო დაჩქარებით არ დამთავრდა, ქარხანა მოუმზადებელი შეხვდება სეზონს.

ურეკის საბჭოთა მეურნეობამ შარშან ციტრუსოვანთა 30 მილიონი ცალი ნაყოფი მისცა ქვეყანას. მოსავალს დიდი რაოდენობით ჩაბარებენ წელსაც. ეს დავალება რომ ვადაზე შესრულდეს, საჭიროა დროულად მოყვანილ იქნას წესრიგში 10 კილომეტრის სიგრძის საპლანტაციო კეთილმოწყობილი გზა, რათა ყოველგვარ ამინდში შესაძლებელი იყოს ნაყოფის შეუფერხებელი გადაზიდვა. აქ პლანტაციების მეტ ნაწილში ავტომანქანით მისვლა შეუძლებელია, ამისათვის საჭიროა საჭაპანო ტრანსპორტის გამოყენება, რისთვისაც 15 უღელი მუშა საქონელი მაინცაა საჭირო, მაგრამ მეურნეობას მხოლოდ 5 უღელი ხარი ჰყავს. ასევე საჭიროა, რომ დროულად შეკეთდეს ნატანებიშრომის, მერიათხინვალის და მერიანარკონჭკათის გზები, აგრეთვე მდინარე სუფსაზე გადასასვლელი ხიდი, წინააღმდეგ შემთხვევაში ციტრუსოვანთა ნაყოფის დროულად და უდანაკარგოდ დამზადება შეფერხდება.

სატრანსპორტო საშუალებების მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის აგრეთვე „საქკონსერვტრესტის“ მახარაძის რაიკანტორაში. რაიკანტორის 18 ავტომანქანიდან რეზინების მოუმარაგებლობის გამო მხოლოდ 10 მუშაობს. ეს იმ დროს, როდესაც ყველა 18 მანქანა რომ სამუშაო მდგომარეობაში იყოს, სეზონის შეუფერხებლად ჩატარებისათვის დამატებით 9 ავტომანქანა მაინც იქნება საჭირო.

ნაკლია ისიც, რომ მერიის შემფუთავ ქარხანას, რომელიც ყოველწლიურად 40-45 მილიონ ცალ ციტრუსის ნაყოფს ამზადებს, არა აქვს ჩიხი; საჭიროა რკინიგზამ გააკეთოს გადახურული ბაქანი ვაგონებში დატვირთვამდე ციტრუსებით სავსე ყუთების მოსათავსებლად. მერიის სადგურში ასეთი ბაქანის არსებობა მით უფრო საჭიროა და აუცილებელია, რომ მან უნდა უზრუნველყოს ლაითურის საბჭოთა მეურნეობიდან როგორც ციტრუსების, ისე მახლობელი (ლაითურისა და გურიანთის) ჩაის ფაბრიკებიდან მზა პროდუქციის გაგზავნა. ეს საკითხი შარშანაც იქნა დასმული ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს წინაშე, მაგრამ შედეგი არა ჩანს. ისიც აღსანიშნავია, რომ რკინიგზის მერიის სადგურზე ლიანდაგამდე მისასვლელი გზა ისეა გაფუჭებული, რომ კარგ ამინდშიც შეუძლებელია აქ ავტომანქანებით ტვირთის მიტანა. მშრომელთა დეპუტატების მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილებით ეს გზა სხვადასხვა ორგანიზაციებს უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ ჯერჯერობით თავს არავინ იწუხებს.

საჭიროა დროულად აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი, ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება-გადამუშავების სეზონს.

ვ. ჯაყელი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ᲭᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲖᲘᲓᲕᲐᲡ ᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲔᲚ

შაქრის ჭარხლის მიმღები პუნქტის წინ სატვირთო ავტომანქანები იდგა. მათ კიდევ მიეძატა ერთი ავტომანქანა — № 28-29, რომელიც ის-ის იყო დაბრუნდა სტალინირის რაიონის სოფელ დისევის კოლმეურნეობიდან.

კაბინიდან შოფერმა თავი გამოყო და კოლმეურნეებს შეეხმაურა:—ჩამოდით, ვეღარ წავალთ!

—ჯერ ხომ დილის 11 საათია? დღეს კიდევ რამდენიმე რეისს მოვასწრებდით, ამოღებული ჭარხალი მინდორში გველოდება, — შეწუხდნენ დისეველი მეჭარხლეები.

—ავზში ბენზინი აღარ არის, მანქანა კი უბენზინოდ არ დადის!—მშვიდად უპასუხა შოფერმა.

უბენზინობის გამო მიმღებ პუნქტში უქმად იდგა მეორე სატვირთო ავტომანქანაც — № 28-20, ხოლო მესამეს— № 28-16-ს არემონტებდნენ.

— ვის ეკუთვნის ეს ავტომანქანები?

— „სოიუზზაგოტტრანსს“, — იყო პასუხი და გაგიკვნა გ. ბზარაშვილი, რომელიც შაქრის ჭარხლის სტალინირის მიმღები პუნქტის დასახმარებლად გამოყოფილ ავტომანქანებს ხელმძღვანელობს.

— ორი დღეა ვრეკავთ გორში, — ამბობს გ. ბზარაშვილი, — ბენზინი გამოგველია და გვინდა შევატყობინოთ, მაგრამ ვერ დავუკავშირდით ჩვენს ხელმძღვანელებს, ავტომანქანები კი უქმად დგანან.

„სოიუზზაგოტტრანსის“ ავტომანქანები რომ მაღალნაყოფიერად მუშაობდნენ, მაშინ სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის ჩაბარების ტემპი, ცხადია, ბევრად დაჩქარდებოდა.

მიმდინარე სეზონში სტალინირის მიმღებმა პუნქტმა 10.400 ტონა შაქრის ჭარხალი უნდა მიიღოს კოლმეურნეობებიდან და გაგზავნოს აგარის შაქრის ქარხანაში. ჭარხლის გადმოზიდვის გრაფიკის დაცვასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს რკინიგზის ვაგონების დროულად დატვირთვას. ამისათვის საჭიროა საკმაო რაოდენობით იყოს მუშახელი. მაგრამ პუნქტის ხელმძღვანელობა (გამგე მ. ხაბალოვი) დროზე არ შეეცადა მუშებისათვის ნორმალური პირობების შექმნას, არ გამონახა ბინები და სხვ. ამის შედეგია, რომ პუნქტს მუდმივი მუშების საჭირო რაოდენობის ნახევარიც არა ჰყავს. გვიანდება ვაგონების დატვირთვა. მაგალითად, 29 სექტემბერს საღამოს 5 საათზე პუნქტთან დასატვირთავად ჩამოყენებული იყო 5 ვაგონი, მაგრამ იმის გამო, რომ პუნქტი მუშახელით დროზე არ იქნა უზრუნველყოფილი, ვაგონები მოცდა.

შაქრის ჭარხლის გადაზიდვისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების საქმე მეტ პასუხისმგებლობას და უკეთეს მუშაობას მოითხოვს.

ვლ. გელაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ᲑᲘᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲣᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ხულო. (საკ. კორ.). რაიონში ფართოდ გაჩაღდა პირუტყვისათვის ახალი ბინების მშენებლობა.

გასულ წლებში სათანადო ბინების უქონლობის გამო ბევრ კოლმეურნეობაში ფერხდებოდა პირუტყვის ნორმალური გამოზამთრება, ამიტომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში პირუტყვის დაცემის შემთხვევებიც იყო.

წელს შ. ახვლედიანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ 150 სული პირუტყვის ტევადობის სადგომი ააგო. სოფ. ჯაბნიძეების „ზარია ვოსტოკას“ სახელობის კოლმეურნეობაში მსხვილფეხა პირუტყვისათვის ააგეს 90 სულის ტევადობის ორი ბოსელი.

დიდი ყურადღება ექცევა სასილოსე კოშკების მშენებლობას. რაიონში უკვე აგებულია 30 ახალი სასილოსე კოშკი ოც-ოცი ტონის ტევადობისა.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„ᲛᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲑᲐᲜᲘ“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 17 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა პრესის მიმოხილვა, რომელშიც გაკრიტიკებული იყო გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის“ სუსტი მუშაობა საბჭოთა მშენებლობის საკითხების გაშუქების საქმეში.

როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. პ. პეტრიაშვილი გვატყობინებს, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა ზემოაღნიშნული წერილი, სწორად ცნო „კომუნისტის“ კრიტიკა და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

„ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ?“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 13 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელიც შეეხებოდა სოფელ ნოსირის კლუბის მშენებლობის გაჭიანურებას.

მშრომელთა დეპუტატების ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. გვაძაბია გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი კრიტიკა სწორია. კლუბის მშენებლობის საკითხი განხილულ იქნა აღმასკომის სხდომაზე. ადგილზე უკვე მიზიდულია საკმაო საშენი მასალა და დაწყებულია მუშაობა კლუბის მშენებლობის ახლო ხანში დასამთავრებლად.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ბერლინი, 7 ოქტომბერი. (საკდისი). დღეს 7 ოქტომბერს გერმანიის დედაქალაქ ბერლინში შედგა გერმანიის სახალხო საბჭოს მე-9 სესია. შუადღის 12 საათისათვის გერმანიის ეკონომიური კომისიის დიდ სასხდომო დარბაზში შეიკრიბნენ გერმანიის სახალხო საბჭოს დეპუტატები, რომლებიც არჩეულ იქნენ 1949 წლის 15-16 მაისს საყოველთაო დემოკრატიულ არჩევნებში.

დარბაზშია მრავალი სტუმარი, დიდი ბერლინის და გერმანიის მხარეების საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, აგრეთვე საბჭოთა წარმომადგენლები და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ბერლინში აკრედიტებული მისიების პირადი შემადგენლობა.

პრესის წარმომადგენელთათვის განკუთვნილი ადგილები მთლიანად დაკავებული აქვთ გაზეთების, დეპეშათა სააგენტოებისა და რადიოს კორესპონდენტებს.

პრეზიდიუმის მაგიდასთან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის ვილჰელმ პიკის გამოჩენა გ. ბზარაშვილი, რომელიც შაქრის ჭარხლის სტალინირის მიმღები პუნქტის დასახმარებლად გამოყოფილ ავტომანქანებს ხელმძღვანელობს.

— ორი დღეა ვრეკავთ გორში, — ამბობს გ. ბზარაშვილი, — ბენზინი გამოგველია და გვინდა შევატყობინოთ, მაგრამ ვერ დავუკავშირდით ჩვენს ხელმძღვანელებს, ავტომანქანები კი უქმად დგანან.

„სოიუზზაგოტტრანსის“ ავტომანქანები რომ მაღალნაყოფიერად მუშაობდნენ, მაშინ სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის ჩაბარების ტემპი, ცხადია, ბევრად დაჩქარდებოდა.

მიმდინარე სეზონში სტალინირის მიმღებმა პუნქტმა 10.400 ტონა შაქრის ჭარხალი უნდა მიიღოს კოლმეურნეობებიდან და გაგზავნოს აგარის შაქრის ქარხანაში. ჭარხლის გადმოზიდვის გრაფიკის დაცვასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს რკინიგზის ვაგონების დროულად დატვირთვას. ამისათვის საჭიროა საკმაო რაოდენობით იყოს მუშახელი. მაგრამ პუნქტის ხელმძღვანელობა (გამგე მ. ხაბალოვი) დროზე არ შეეცადა მუშებისათვის ნორმალური პირობების შექმნას, არ გამონახა ბინები და სხვ. ამის შედეგია, რომ პუნქტს მუდმივი მუშების საჭირო რაოდენობის ნახევარიც არა ჰყავს. გვიანდება ვაგონების დატვირთვა. მაგალითად, 29 სექტემბერს საღამოს 5 საათზე პუნქტთან დასატვირთავად ჩამოყენებული იყო 5 ვაგონი, მაგრამ იმის გამო, რომ პუნქტი მუშახელით დროზე არ იქნა უზრუნველყოფილი, ვაგონები მოცდა.

შაქრის ჭარხლის გადაზიდვისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების საქმე მეტ პასუხისმგებლობას და უკეთეს მუშაობას მოითხოვს.

ვლ. გელაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲒᲡ-ᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲯᲐᲜᲡᲐᲦᲔᲡ

საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები თელავის რაიონში დღითიდღე ფართოვდება. კოლმეურნეები ახლა მასობრივად იღებენ სიმინდის მოსავალს. დაიწყო რთველიც. კოლმეურნეთა საგრძნობი ნაწილი საშემოდგომო ხვნა-თესვაზე მუშაობს.

მაგრამ ამ სამუშაოებში ჩამორჩა თელავის მტს-ი, რომელმაც შარშან საწარმოო დავალება 120 პროცენტით შეასრულა და 1949 წლის საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმის დიდად გადააჭარბა.

რით არის ეს ჩამორჩენა გამოწვეული?

უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მტს-ის კოლექტივი მოუმზადებელი შეხვდა საშემოდგომო სამუშაოებს. საკმარისია ითქვას, რომ მტს-ის ინჟინერ-ტექნიკოსების (უფროსი მექანიკოსი ამხ. ზ. მაჭავარიანი) მოუქნელი მუშაობის შედეგად მთელ რიგ სატრაქტორო ბრიგადებში ტრაქტორები და მისაბმელი მანქანა-იარაღები გამზადებული არაა სამუშაოდ. ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო დღესაც მოცდენილია ტრაქტორები, განსაკუთრებით № 7, № 1, № 8 და № 5 სატრაქტორო ბრიგადებში, რომლებიც სანიორის, აკურის, ფშავლისა და რუისპირის კოლმეურნეობათა მინდვრებში მუშაობენ.

ჯერ კიდევ 30 აგვისტოს საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის ბიურომ განიხილა მტს-ის მუშაობის საკითხი, აღნიშნა არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და დასახა ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად. მას შემდეგ თვეზე მეტმა განვლო, მაგრამ მტს-ის მუშაობაში არსებითად არაფერი შეცვლილა, ჩამორჩენა კვლავ გრძელდება.

საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის მიხედვით მტს-მა უნდა მოხნას 6.163 ჰექტარი, 4 ოქტომბრისათვის მოხნული ჰქონდა 2.100 ჰექტარამდე. ამავე რიცხვისათვის მზრალად მოხნული ჰქონდა 560 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.800 ჰექტარისა. მწკრივად დათესილია 120 ჰექტარამდე. როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა. ასეთი ჩამორჩენა იმითაც არის გამოწვეული, რომ სათანადო ორგანოები მტს-ს საკმაოდ არ ეხმარებიან სათადარიგო ნაწილებით მომარაგებაში.

ხშირად ირღვევა მტს-სა და კოლმეურნეობებს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთვალდებულებანი. მაგალითად, ნაფარეულის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. კ. ბერიკაშვილმა სატრაქტორო ბრიგადას არ მოუმზადა საშემოდგომოდ სახნავი ნაკვეთი, არ უზრუნველყო საჭირო ტრანსპორტით და დამხმარე მუშებით, ტრაქტორისტებს არ მიაწოდა საკვები, რის შედეგადაც 12, 13, 17 და 18 სექტემბერს სატრაქტორო ბრიგადის სამი ტრაქტორი მთლიანად გაცდა.

სოფელ ყარაჯალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ზ. უსუფოვმა უპასუხისმგებლობა გამოიჩინა სახნავი ფართობის მომზადების საქმეში, თავის დროზე არ გაწმინდა ნაკვეთი ნამჯისაგან, არ გამოჰყო დამხმარეები სატრაქტორო ბრიგადისათვის, ერთხელაც არ დაინტერესებულა ადგილზე მისულიყო და შეემოწმებინა, მუშაობდნენ თუ არა ტრაქტორები. ამან ის გამოიწვია, რომ ამ კოლმეურნეობის ნაკვეთებში სამუშაოდ მისული ტრაქტორები რამდენიმე დღეს უქმად იდგნენ, ხოლო რაც მოხნეს, მეტი ნაწილი უხარისხო გამოდგა.

სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევები არის ყარაჯალის კოლმეურნეობაში „სოციალიზმის გზა“, აკურის — „მოწინავეში“, შალაურის — „შრომაში“, ნასომხრის ალკაკ-ს სახელობის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში. ამ კოლმეურნეობებში მომუშავე ტრაქტორისტების საგრძნობ ნაწილს ორი-სამი წლის განმავლობაში გამომუშავებულ შრომადღეებზე კუთვნილი პროდუქტები დღემდე არ მიუღია.

რაიონში საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის საუკეთესო ამინდებია. ამას კი უნარიანად ვერ იყენებენ მტს-ის სატრაქტორო ბრიგადები. მტს-ის ხელმძღვანელობას, მის დირექტორს ამხ. ჩხოტუას მეტი ოპერატიულობა მართებთ, მათი მოვალეობაა ტრაქტორისტთა შორის ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა და ხელი შეუწყონ მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილების განზოგადებას.

პარტიის თელავის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ ამ მტს-ს.

„კომუნისტის“ გამსვლელი რედაქცია თელავის რაიონში

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘ

ბერლინი, 7 ოქტომბერი. (საკდისი). დღეს ბერლინში შემდგარ გერმანიის სახალხო საბჭოს მეცხრე სესიაზე ერთხმად იქნა მიღებული დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის მანიფესტი. მანიფესტში ნათქვამია:

„გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის მოწოდების მომენტიდან, რომელმაც მოითხოვა შექმნილიყო დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტი, გერმანელი ხალხის პატრიოტული ძალების ბრძოლა გერმანიის გათიშვისა და დასავლეთი ზონების კოლონიური დამონების წინააღმდეგ სულ უფრო ფართო სახალხო მოძრაობის ხასიათს იღებს.

ნაციონალური უბედურება, რომელიც გერმანელ ხალხს დაატყდა დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ პოტსდამის შეთანხმების დარღვევის შედეგად, რაზმავს ყველა გერმანელს მაღალი მიზნებისათვის საბრძოლველად: ერთიანი, დამოუკიდებელი დემოკრატიული გერმანიის შექმნისათვის, გერმანიასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულების უსწრაფესი დადებისათვის და მოკლე. ჯდაში მთელი საოკუპაციო ჯარების გაყვანისათვის.

ოთხ წელიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც ზარბაზნები დადუმდნენ. გერმანელი ხალხის იმედი, რომ შეინარჩუნებდა თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ ერთიანობას, რომ მოხდებოდა გერმანიის დემოკრატიული, ანტიმილიტარისტული გარდაქმნა და დაიდებოდა საზავო ხელშეკრულება, რაც მას საზეიმოდ შეპპირდნენ პოტსდამის შეთანხმებით, გაცრუდა. გერმანია გაითიშა დასავლეთ სახელმწიფოთა იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგად. გერმანიის ეკონომიკას წაერთვა რუსული და საარის ოლქები. გერმანელ მოსახლეობას უარი უთხრეს საზავო ხელშეკრულებაზე. ამის ნაცვლად დასავლეთ ზონებს თავს მოახვიეს საოკუპაციო სტატუტი, რომელიც ტოვებს ოკუპაციას განუსაზღვრელი ვადით. ზონის სუპარატული სახელმწიფოს შექმნით დამთავრდა გერმანიის გათიშვა.

ბონის მარიონეტულ მთავრობას შეუძლია მხოლოდ ის შეასრულოს, რასაც მას უკარნახებენ დასავლეთ სახელმწიფოთა უმაღლესი კომისრები საოკუპაციო სტატუტის საფუძველზე. გრძელდება უკანონო დემონტაჟი გერმანული კონკურენციის მოსპობის მიზნით. დასავლეთის მარკის დევალვაციისა და ქვანახშირის ახალი ფასების დადგენისას კვლავ იჩინა თავი იმპერიალისტური საოკუპაციო პოლიტიკის სისასტიკემ. ამ დაბრკოლებათა ფაქტში, რომელიც გაიწია აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადებას, ერთხელ კიდევ ნათლად იჩინა თავი უმაღლესი კომისრების მეურვეობამ.

ზონის სუპარატულ მთავრობას ამოცანად აქვს დასახული ჩაბას დასავლეთი გერმანია სამხედრო ბლოკში — ატლანტიკის პაქტში და სუპარატული სახელმწიფოს ახალგაზრდობა გადაიქცეს ამერიკის იმპერიალიზმის ლანდსკნეხტებად. ამ ამოცანის შესასრულებლად დასავლეთ გერმანიაში აშკარად აღორძინებენ გერმანულ ფაშიზმსა და მილიტარიზმს, ისახავენ რევანშისტულ ოდეებს, რის საგანგაშო სიგნალს იძლევიან ზონის პარლამენტის პირველი სხდომები.

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გამთიშველი კოლონიზატორული პოლიტიკა საფრთხის უქმნის მშვიდობასა და გერმანელი ერის არსებობას და აუცილებელს ხდის შეიქმნას გერმანელი ხალხის მთელი პატრიოტული ძალების ბრძოლის საერთო ფრონტი.

ჩვენი სამშობლოს ყველა ნაწილში უკანასკნელი თვეების მანძილზე განხილული იყო დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დიდი მიზნები. გერმანიის სახალხო საბჭომ გათვალისწინა მოსახლეობის ყველა ფენის სურვილები და საჭიროდ მიაჩნია მოკლე და ნათელი ფორმით ჩამოაყალიბოს დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის მიზნები:

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ

1. გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური ერთიანობის აღდგენა დასავლეთ გერმანიის სუპარატული სახელმწიფოს გაუქმების, რიორის სტატუტის გაუქმების, საარის ავტონომიის გაუქმების გზით და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის გზით.

ᲡᲐᲖᲐᲕᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ

2. გერმანიასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულების უსწრაფესი დადება, გერმანიიდან მთელი საოკუპაციო ჯარების გაყვანა საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მტკიცედ დადგენილ მოკლე ვადაში.

3. დემოკრატიზაციისა და დემილიტარიზაციის შესახებ პოტსდამის გადაწყვეტილებათა, აგრეთვე მათში გათვალისწინებულ სხვა ხელხების მიმართ გერმანიის ვალდებულებათა სრული და უსიტყვო აღიარება.

ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲘᲢᲔᲢᲘ

4. გერმანელი ერის სრული სუვერენიტეტის აღდგენა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკისა და დამოუკიდებელი საგარეო ვაჭრობის უფლების აღიარებით.

გერმანიის დემოკრატიული სახელმწიფოს და გერმანელი ხალხის თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარება საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ.

ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲩᲐᲮᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲗᲘᲗᲣᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

5. შეურიგებელი აქტიური ბრძოლა გერმანიაში ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. პრესაში, რადიოთი და კრებებზე ომის პროპაგანდის აკრძალვა.

შეურიგებელი ბრძოლა აგრესიულ სამხედრო ბლოკებში, ევროპის კავშირსა და ჩრდილო ატლანტიკის პაქტში გერმანიის ჩაბმის წინააღმდეგ.

6. დაუნდობელი აქტიური ბრძოლა გერმანელი ერის გამეცემთა — ამერიკის იმპერიალიზმის გერმანელი აგენტების, გერმანიის გათიშვისა და მისი დასავლეთი ოლქების დამონების დანაშაულებრივ ხელშემწყობთა წინააღმდეგ, ბრძოლა პარტიულარისტებისა და სეპარატისტების წინააღმდეგ, რომლებიც მზარს უჭერენ გერმანიის გათიშვის იმპერიალისტურ პოლიტიკას.

7. ხალხთა შორის მშვიდობისათვის, თანასწორობისა და მეგობრობისათვის მებრძოლი ძალების სრული და შეუზღუდველი მხარდაჭერა მთელ მსოფლიოში. გერმანიის თანამშრომლობა და მეგობრობა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხებთან და ქვეყნებთან, რომლებიც ცნობენ დემოკრატიული გერმანიის ეროვნულ ინტერესებს.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ—ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ

8. გერმანიის დედაქალაქ ბერლინის ერთიანობის დაუყოვნებლივ აღდგენა და ცხოვრების ნორმალიზაცია.

ᲒᲔᲒᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ

9. ერთიანი ვალუტა მთელი გერმანიისათვის. დაუბრკოლებელი ვაჭრობა და ეკონომიური თანამშრომლობა. მოსახლეობის და საქონლის თავისუფალი მოძრაობა გერმანიის ყველა მხარეებსა და ზონებს შორის.

10. უცხოთის კაპიტალისტების მიერ გერმანიის მეურნეობის გასხვისების დაუყოვნებლივ შეწყვეტა. უცხოთის კრედიტები მისაღებია მხოლოდ გერმანიის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პირობით და იმის უფლებით, რომ გერმანელმა ორგანოებმა ეს კრედიტები გამოიყენონ თავიანთი შეხედულებით.

11. დემონტაჟისა და გერმანიის მშვიდობიანი ეკონომიკის შეზღუდვისა და ჩაბმობისაკენ მიმართული სხვა ზომების დაუყოვნებლივ შეწყვეტა.

12. გერმანიის საგარეო ვაჭრობისათვის ყველა იმ შეზღუდვის გაუქმება, რაც შემოღებული იყო დასავლეთ სახელმწიფოთა მიერ კონკურენციის მიზეზით. საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, როგორც გერმანიის ტუნგრივ სავაჭრო პარტნიორებთან, ვაჭრობის წახალისება. გერმანიის მშვიდობიანი მრეწველობისა და სამოქალაქო გემთმშენებლობის, ვაჭრობისა და ხელოსნობის დაუბრკოლებელი განვითარება.

13. გერმანიის სახალხო მეურნეობისა და კერძო საკუთრების დაცვა კანონით.

14. გერმანიის მოსახლეობის საარსებო დონის ამაღლება წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების გზით. სანარათო სისტემის გეგმიანი გაუქმება. უმუშევრობის ლიკვიდაცია.

15. სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლება, ხელოვნური გლეხური მეურნეობათათვის დახმარება. მთელ გერმანიაში გლეხთა და გადასახლებულთათვის მიწების სამართლიანი მიცემა.

16. გადასახლებულთა უზრუნველყოფა ბინებითა და სამუშაოთი ყველა ზონაში. დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენა.

ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲝᲑᲐ

17. ყველა გერმანელი მოქალაქის სრული თანასწორობა კანონის წინაშე, მათი კლასობრივი კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური რწმენის მიუხედავად.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

18. პრესის, რადიოს და კინოს თავისუფლება, ინგლის-ამერიკის ცენზურის გაუქმება.

19. ქმედითი ღონისძიებების განხორციელება გერმანიელი კაცობრიობის, ტექნიკის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების შესანარჩუნებლად და განსავითარებლად. მთელ გერმანიაში ინტელიგენციის მდგომარეობის გუმანიზებისა.

20. მკედრო კულტურული ურთიერთობა გერმანიის ყველა ოლქებს შორის რაიმე გარედან ჩარევისა და შეზღუდვის გარეშე.

ამ მიზნებისათვის უ

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი სახალხო პალატის საკანონმდებლო საქმიანობა

ბერლინი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). 7 ოქტომბერს საღამოს დროებითი სახალხო პალატის დამფუძნებელ სხდომაზე არჩეულ იქნა პალატის პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ იოჰანეს დიგმანი (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია)—დროებითი სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, გერმან მატერნი (გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია), პროფესორი ჰუგო ჰოფმანი (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი) და ლონი ლერი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) — თავმჯდომარის მოადგილეები. პრეზიდიუმის წევრებად არჩეული არიან: ჰერბერტ ჰოფმანი (გლეხთა დემოკრატიული პარტია), ერიხ გესკე (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია), ფრიდელ მალტერი (გერმანიის თავისუფალ პროფკავშირების გაერთიანება), ელი შიდტი (გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირი) და ფრიდრიხ ებერტი (ბერლინის ობერ-ბურგომისტრი).

დროებითი სახალხო პალატის მიერ პირველ სხდომაზე მიღებულია შემდეგი კანონები:

კანონი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი სახალხო პალატის შექმნის შესახებ

მუხლი 1. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი სახალხო პალატა არსდება გერმანიის სახალხო კონგრესის მიერ 1949 წლის 30 მაისს არჩეული გერმანიის სახალხო საბჭოს შემადგენლობით და გერმანიის სახალხო საბჭოს მიერ 1949 წლის 19 მარტს მიღებული და გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის მიერ 1949 წლის 30 მაისს დამტკიცებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე.

მუხლი 2. ეს კანონი ძალაში შედის მისი მიღების მომენტიდან. კანონი შედგენილი და გამოცხადებულია დროებითი სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მიერ.

ბერლინი, 1949 წ. 7 ოქტომბერი.

კანონი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეთა დროებითი პალატის შექმნის შესახებ

მუხლი 1. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, რომელიც მიღებულია გერმანიის სახალხო საბჭოს მიერ 1949 წლის 19 მარტს და დამტკიცებულია გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის მიერ 1949 წლის 30 მაისს, იქმნება მხარეთა დროებითი პალატა როგორც მხარეთა წარმომადგენლობა.

მუხლი 2. მხარეთა დროებითი პალატა შედგება საქსონიის მხარის 11 დეპუტატისაგან, საქსონია-ანჰალტის მხარის 8 დეპუტატისაგან, თიურინგიის მხარის 6 დეპუტატისაგან, ბრანდენბურგის მხარის 5 დეპუტატისაგან და მეკლენბურგის მხარის 4 დეპუტატისაგან.

მუხლი 3. მხარეთა დროებითი პალატის დეპუტატებს ირჩევენ ლანდტაგები ფრაქციის რაოდენობის შესაბამისად. როგორც წესი, თითი ლანდტაგების წევრები უნდა იყვნენ.

მუხლი 4. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქს—ბერლინს შეუძლია მხარეთა დროებითს პალატაში გაგზავნოს 7 წარმომადგენელი მეთვალყურეებად.

მუხლი 5. ეს კანონი ძალაში შედის მისი მიღების მომენტიდან, იგი შედგენილი და გამოცხადებულია დროებითი სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მიერ.

ბერლინი, 1949 წ. 7 ოქტომბერი.

კანონი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შესახებ

მუხლი 1. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც შექმნილია მთელი გერმანელი ხალხის მონაწილეობით, მიღებულია გერმანიის სახალხო საბჭოს მიერ 1949 წლის 19 მარტს და დამტკიცებულია გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის მიერ 1949 წლის 30 მაისს, ამით ცხადდება ძალაში შესულად.

მუხლი 2. ეს კანონი მოქმედებს მისი მიღების მომენტიდან. იგი შედგენილი და გამოცხადებულია დროებითი სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მიერ.

ბერლინი, 1949 წ. 7 ოქტომბერი.

კანონი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შესახებ

მუხლი 1. სახალხო პალატის არჩევამდე იქმნება დროებითი მთავრობა, რომელიც უნდა მოქმედებდეს გერმანიის სახალხო საბჭოს მიერ 1949 წლის 19 მარტს მიღებული და გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის მიერ 1949 წლის 30 მაისს დამტკიცებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის დებულებათა საფუძველზე.

მუხლი 2. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა, პრემიერ-მინისტრის სამი მოადგილისა და 14 მინისტრისაგან. მინისტრები ხელმძღვანელობენ შემდეგ სამინისტროებს:

1. საგარეო საქმეთა სამინისტრო;
2. შინაგან საქმეთა სამინისტრო;
3. დაგეგმვის სამინისტრო;
4. ფინანსთა სამინისტრო;
5. მრეწველობის სამინისტრო;
6. სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სამინისტრო;
7. საგარეო ვაჭრობისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამინისტრო
8. ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრო;
9. შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო;
10. ტრანსპორტის სამინისტრო;
11. ბეჭდვითი სიტყვისა და კავშირგაბმულობის სამინისტრო;
12. აღდგენის სამინისტრო;
13. სახალხო განათლების სამინისტრო;
14. იუსტიციის სამინისტრო,

მუხლი 3. ეს კანონი ძალაში შედის მისი მიღების მომენტიდან. იგი შედგენილი და გამოცხადებულია დროებითი სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მიერ.

ბერლინი, 1949 წ. 7 ოქტომბერი.

ყველა კანონს ხელს აწერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და რუმინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების გამო

პეკინი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ანა პაუკერს გაუგზავნა სიტყვიერი ნოტა, რომლითაც მიესალმება ჩინეთისა და რუმინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ბულგარეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების გამო

პეკინი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ 4 ოქტომბერს ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ვლადიმირ პოპტომოვს გაუგზავნა პასუხი, რომელშიც მიესალმება ჩინეთსა და ბულგარეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დაუყოვნებლივ დამყარებას.

„ამჟამად ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები მწარედ დასტირიან ატომის მონოპოლიის — ფსიქოლოგიური იარაღის დაკარგვას".

გაზეთებიდან.

ᲒᲣᲨᲘᲦᲚᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲝ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲝ ᲘᲛᲔᲓᲝ!

ნახატი რ. ცუცქირიძისა და თ. რატიშვილისა

საფრანგეთის მთავრობის კრიზისის გამო

მორის ტორეზის განცხადება

პარიზი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო კეის მთავრობის გადადგომა.

მორის ტორეზი გამოვიდა თავის ამომრჩეველთა წინაშე მონტუჟში (სენის დეპარტამენტი), ილუპარაკა კეის მთავრობის გადადგომაზე და აღნიშნა:

„მუშებმა, გლეხებმა, მოსამსახურეებმა, ვაჭრებმა, ომის ყოფილმა მონაწილეებმა, მოხუცმა მშრომელებმა, ოჯახის დედებმა, ყველამ საკმაო ტანჯვა განიცადა ამ მთავრობისაგან და სიღატაკის, რეაქციისა და ომის მისი პოლიტიკით.

ხალხის მასები ფაქტების მიხედვით მსჯელობენ იმაზე, თუ რამდენად დასაბუთებულია ჩვენი ოპოზიცია მარშალის გეგმისადმი, რომელმაც ხელი შეუწყო არა ჩვენი ქვეყნის აღორძინებასა და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ, პირიქით, გამოიწვია ჩვენი მრეწველობის დაქვეითება და ლუპობა, რაც ხელს უწყობენ უმუშევრობის შემდგომ ზრდას და სულ უფრო დაბლა სწევს ხალხის მასების საარსებო დონეს.

მარშალის გეგმა და იქიდან გამომდინარე ატლანტიკის პაქტი ჩვენს ქვეყანას აიძულებენ გასწიოს სულ უფრო საშინელი სამხედრო ხარჯები, რითაც გამოწვეულია მშრომელთა კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილების უარყოფა.

აი რა უნდა აღიარონ სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელებმა, რომელთაც აკისრიათ მძიმე პასუხისმგებლობა მთავრობიდან კომუნისტი მინისტრების განდევნისათვის, რაც იმისათვის ჩაიდინეს, რომ აშკარა რეაქციულ დაჯგუფებებთან და პარტიებთან თანამშრომლობით განეხორციელებინათ მარშალიზაციის პოლიტიკა, რაც ანდგურებს საფრანგეთს და მონობაში აგდებს ჩვენს ხალხს.

სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელებმა უნდა აღიარონ, რომ მუშებისა და დემოკრატიული ძალების ერთიანობაში გათიშვის შეტანით მათ შეცდომაზე მეტი რამ ჩაიდინეს რეაქციის სასარგებლოდ. სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები ძირითად საკითხებში ეთანხმებიან თავის პარტნორებს კეის მთავრობაში. მათთან ერთად მათ ხელი მოაწერეს მარშალის გეგმას და ატლანტიკის პაქტს. მათთან ერთად ისინი განაგრძობდნენ დანაშაულებრივ ომს ვიეტნამის ხალხების წინააღმდეგ. ამჟამად რამდენე ვაშინგტონს იმყოფება იმისათვის, რომ „მტკიცედ მოითხოვოს, — როგორც გაზეთი „პოპიულერი" აცხადებს, — საფრანგეთის ხელახლა შეიარაღება" და ახალი ანტისაბჭოთა ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობაში მონაწილეობა. სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები ქიულ მოკის მეთაურობით არიან მუშათა კლასის წინააღმდეგ სისხლისმღვრელი რეპრესიების ორგანიზატორები და იმ თვითნებობის ჩამდენნი, რაც მიმართულია ხალხის რჩეულთა და თავისუფლებისა და მშვიდობის მომხრეთა წინააღმდეგ.

საბედნიეროდ, ერთიანობის დაუძლეველი მოძრაობა საერთო ბრძოლაში აბამს სხვადასხვა პოლიტიკური რწმენის, სხვადასხვა სარწმუნოების მშრომელთა უდიდეს მასებს, მათ შორის სოციალისტ და კათოლიკე მშრომელებს.

უკლებლივ მთელი ხალხი მოითხოვს ბოლო მოეღოს პოლიტიკას, რაც 30 თვის განმავლობაში ხორციელდებოდა.

დადგა დრო გავგლეჯოთ ის ბორკილი, რომლითაც ამერიკელ იმპერიალისტთა სამხედრო ხროვა ჰბოჭავს ჩვენს ქვეყანას, დადგა დრო აღვადგინოთ ჩვენი სრული ეროვნული დამოუკიდებლობა; დადგა დრო შევქმნათ საფრანგეთში ისეთი მთავრობა, როგორსაც ჩვენი ქვეყანა მოელის, — დემოკრატიული ერთიანობის მთავრობა, პროგრესის, თავისუფლებისა და მშვიდობის მთავრობა".

* * *

პარიზი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაიწყო კონსულტაცია პარტიათა ლიდერებთან. ხმებია, რომ შესაძლოა, მთავრობის მეთაური გახდეს რამადიე, ქიეტ მოკი, შუმანი, თვითონ კეი ან რენე მეირი. მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, საეჭვოა, რომელიმე მათგანმა ხმების საკმარისი რაოდენობა შეაგროვოს ეროვნულ კრებაში.

კომუნისტური პარტია და სხვადასხვა დემოკრატიული ორგანიზაცია მოითხოვენ შეიქმნას დემოკრატიული ერთიანობის მთავრობა.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა გუშინ მიიღო კეი, ხოლო შემდეგ ეროვნული კრების თავმჯდომარე ერიო. შემდეგ პრეზიდენტმა მიიღო მორის ტორეზი და ქიე დიეკლო.

პრეზიდენტთან მოლაპარაკების შემდეგ ქიე დიეკლომ ასეთი განცხადება გაუკეთა პრესის წარმომადგენლებს:

„ჩვენ რესპუბლიკის პრეზიდენტს განვუცხადეთ, რომ არ კმარა მთავრობის შეცვლა, არამედ საჭიროა აგრეთვე შეიცვალოს მთელი პოლიტიკა. დღემდე წარმოებულმა პოლიტიკამ ცხადყო, თუ რაოდენ მანკიერი იყო იგი. ჩვენ არ დავუჯერდით განცხადებას, რომ უნდა შეიცვალოს პოლიტიკა. ჩვენ განვსაზღვრეთ იმ პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლის წარმოებაც საჭიროდ მიგვაჩნია, რათა კატასტროფა არ მოხდეს ჩვენს ქვეყანაში. ამ პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია:

1. უარისთქმა მარშალის გეგმაზე, ატლანტიკის პაქტსა და მათთან დაკავშირებულ ყველა შეთანხმებაზე. საფრანგეთის აქტიური მონაწილეობა ყველა ღონისძიებაში, რომელიც მიმართულია სამართლიანი დემოკრატიული და მტკიცე ზავის შექმნისაკენ, ზავისა, რომელიც ემყარება სამოკავშირეთაშორისო შეთანხმებათა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პატივისცემას, დადასტურება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის კავშირისა. რომელიც მშვიდობისა და საფრანგეთის უშიშროების გარანტიას წარმოადგენს.

2. ბრძოლა ატომური იარაღის აკრძალვისა და საფრანგეთისა, სსრ კავშირსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა და ჩინეთს შორის მშვიდობის პაქტის დადებისათვის.

3. გერმანიის დენაციფიკაციისა და დემილიტარიზაციის შესახებ პოტსდამის შეთანხმების განხორციელება, იმ შეთანხმებათა დარღვევა, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის მთავრობის შექმნას. გერმანიის მიმართ ჩვენი უშიშროების ინტერესთა შესაბამისი პოლიტიკის წარმოება. რეპარაციათა უფლებების დაცვა. გერმანიაში ყველა დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალებისათვის მხარდაჭერა.

4. ვეტნამში ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და კონსტიტუციის პატივისცემა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე ჩვენს ზღვისეთა ტერიტორიებზე.

5. ხელფასის გადიდება და ხელფასის მოძრავი შკალის გამოყენება. ავანსის დაუყოვნებლივ გაცემა ამ დონისძიებათა რეალიზაციამდე. კვლავ კოლექტიურ ხელშეკრულებათა სისტემისა და ხელფასის გარანტირებული მინიმუმის შემოღება; ომის ყოფილ მონაწილეთა, ყოფილ სამხედრო ტყვეთა, უმუშევართა, სტიქიური უბედურებით დაზარალებულ პირთა და ღრმად მოხუცებულ მშრომელთა კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ჩვენი მრეწველობის დაცვა ამერიკის იმპერიალიზმის მიერ ხელყოფისა და მუქარისაგან.

6. საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია ისეთი პოლიტიკის წარმოების გზით, რომელიც ემყარება მტკიცე და მომგებიან ფასებს იმ პირობით, რომ დაცულ იქნას ჩვენი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურები ატლანტიკის ოკეანისეთა მსხვილი და სხვა ექსპორტიორების კონკურენციისაგან.

7. ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

8. პარლამენტის მიერ წინასწარი გადაწყვეტილების მიღებულად ფრანკის ახალი დევალვაციის განხორციელების აკრძალვა. მტკიცე სავიუჯეტო წონასწორობა. სამხედრო ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება. საგადასახადო სისტემის დემოკრატიული რეფორმა, რომელიც უზრუნველს ყოვლისა მიმართულ იქნება დიდ სამრეწველო და საფინანსო კომპანიების წინააღმდეგ და რომელმაც საგადასახადო ტვირთი უნდა შეუმსუბუქოს მშრომელს, სამუალო ფენებს.

9. განმტკიცება დემოკრატიულ მონაპოვრისა და, კერძოდ, სოციალური დაზღვევის სისტემისა, რომელსაც საფრთხე მოელის ფრანგი და ამერიკელი მსხვილი კაპიტალისტებისაგან.

10. რესპუბლიკური კანონიერებისა და კონსტიტუციურ თავისუფლებათა დაცვა (გაფიცვის უფლება, სიტყვის, კრების, ორგანიზაციისა და მანიფესტაციის თავისუფლება). გაუქმება დე გოლის 1945 წლის 14 აგვისტოს კანონისა, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ მოქალაქეთ თვითნებურად აპყარონ სამოქალაქო უფლებანი. უარისთქმა კომუნისტი დეპუტატების ყოველგვარ დევნაზე, რაც ხდება რესპუბლიკური კანონიერების წესების დარღვევით. დაშლა გასამხედროებული ჯგუფებისა, რომლებიც „ფრანგი ხალხის გაერთიანებამ" (დე გოლის პარტია. რედ.) მოაწყო სამოქალაქო ომისათვის.

11. გადასინჯვა სასამართლოს იმ გადაწყვეტილებათა, რომელნიც მოღალატეთა დაუსჯელობას უზრუნველყოფენ. განთავისუფლება და რეაბილიტაცია წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილი მონაწილეებისა, მშვიდობის დაცვისათვის გამართულ გაფიცვა-დემონსტრაციათა მონაწილეებისა, რომლებიც უკანონოდ იმყოფებიან საპყრობილეებში და სასამართლო დევნას განიცდიან".

თავის მხრივ მორის ტორეზმა ელისეს სასახლიდან გამოსვლის წინ შემდეგი განაცხადა:

„ჩვენ პრეზიდენტს განვუცხადეთ, რომ ამაოა ცდა — აღადგინონ საფრანგეთი, თუ მონაწილეობა არ მიიღეს მუშათა კლასმა და კომუნისტურმა პარტიამ".

საერთაშორისო მავჩი კლასიკურ ჭიდაობაში

(ჩეხოსლოვაკია—თბილისი)

თბილისს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი. ჩეხოსლოვაკიის სპორტულ დელეგაციას ხელმძღვანელობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სამმართველოს უფროსი ბ-ნი ვ. პოკორნი.

თბილისის სპორტულმა საზოგადოებრიობამ სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყო. სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის საწარმოები, კულტურული დაწესებულებანი და ისტორიული ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან.

* * *

7 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო ცირკის შენობაში ჩატარდა შეჯიბრება ჩეხოსლოვაკიის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ ნაკრებ გუნდებს შორის კლასიკურ ჭიდაობაში.

ცირკის დიდ დარბაზში აღიმართა ჩეხოსლოვაკიის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ ალმები. ორკესტრმა შეასრულა ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

სტუმრებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ფარულავა. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი ბ-ნი ვ. პოკორნი.

ქართველმა სპორტსმენებმა თაიგულები მიართვეს სტუმრებს.

დაიწყო შეჯიბრება. პირველ წყვილში, ეუმჩატეს წონაში ერთმანეთს შეხვდნენ პ. სტრადლა (ჩეხოსლოვაკია) და პირველი თანრიგოსანი ვ. ვეშაგური (საქართველო). შეჯიბრებაში ძულებით გამარჯვება მოიპოვა ვ. ვეშაგურმა.

მჩატე წონაში ა. კვასნიაკისა და სპორტის ოსტატის ი. ბობოხიძის შეხვედრა ი. ბობოხიძის გამარჯვებით დამთავრდა.

ნახევრად მსუბუქ წონაში ჩეხოსლოვაკიელმა იან სტეგლიკმა ქულებით გაიმარჯვა სპორტის ოსტატ ა. ჭელიძესთან. მსუბუქ წონაში, სპორტის ოსტატმა ვ. ილურიძემ მეტი ქულები დააგროვა ვ. ტუგთან. პირველ თანრიგოსანმა გ. კარტოზიამ წააქცია ს. მეხეში, საშუალო წონაში სპორტის ოსტატმა დ. ციმაკურიძემ დაამარცხა ვ. ზაბრანსკი. ნახევრად მძიმე წონაში ს. ერზალთან გაიმარჯვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კ. კობერიძემ. მძიმე წონაში სპორტის ოსტატმა ა. მეკოკიშვილმა დაამარცხა ა. კეშნერი.



ჩეხოსლოვაკ და ქართველ მოჭიდავეთა შეჯიბრება. სუპერბიდან: ჭიდაობის ერთ-ერთი მომენტი.

შეჯიბრების საერთო შედეგია 7:1 საქართველოს სსრ ნაკრები გუნდის სასარგებლოდ.

დავით კლდიაშვილის კიესების დადგმა

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი სეზონის მეორე პრემიერად მაყურებელს უჩვენებს გამოჩენილი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის სამ ერთმოქმედებიან პიესას — „დარისპანის გასაჭირს", „ირინეს ბედნიერებას" და „უბედურებას", რაც ერთ სპექტაკლად იქნება გაერთიანებული.

სპექტაკლს მხატვრულად აფორმებს ი. სუმბათაშვილი. მთავარ როლებს ასრულებენ: შ. ღამბაშიძე, ა. ჟორჟოლიანი, ს. თაყაიშვილი, ბ. გამრეკელი, თ. ჩარკვიანი, თ. ციხისელი, ლ. ყიფშიძე, შ. კიკნაძე, შ. ქოჩორაძე („დარისპანის გასაჭირი"); გ. შავგულიძე, შ. ჯაფარიძე, ა. დონღანელი, ტ. საყვარელიძე, ფ. სონღულაშვილი, ზ. ლეკვა, გ. გელოვანი („ირინეს ბედნიერება"); თ. ჩარკვიანი, ბ. გამრეკელი, ქ. დოლიძე, კ. დაუშვილი, ა. სიხარულიძე, ნ. კანდელაკი, გ. გოცირელი და სხვ. („უბედურება").

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

10 და 11 ოქტომბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) მოწვეულია მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების განყოფილების სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ასტრონომიის საკითხებისადმი.

მოსმენილ იქნება აბასთუმნის ასტრო-ფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის პროფესორ ე. ხარაძის, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტის ა. ამბარცუმიანის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის მ. ვაშაკიძის და ობსერვატორიის მეცნიერი თანამშრომლის ა. ტორონჯაძის მოხსენებანი.

ვასო გოძიაშვილის შემოქმედებითი საღამო

ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობა და საქართველოს თეატრალური საზოგადოება ორშაბათს, 10 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) მართავენ რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვასო გოძიაშვილის შემოქმედებითს საღამოს.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

ახალი წიგნები

⊙ **ნ. ი. იაშვილი და ზ. მ. გახტაძე** „**მეაბრეშუმეობის განვითარება საქართველოში**". სახელგამი. 1949 წელი, ტირაჟი 3.000, ფასი 6 მან.

⊙ **მ. ლაღიძე.** **მაღალხარისხოვანი ხილეული წყლების წარმოება საქართველოში,** გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა", 1949 წ., ტირაჟი 2.000, ფასი 5 მანეთი და 50 კაპ.

⊙ **ს. ნ. აბრამოვი.** **სამოკალაქო ხაქმეთა სამსჯავროს განხილვა და გადაწყვეტა,** სახელგამი, 1949 წ., ტირაჟი 2.000, ფასი 4 მანეთი.

⊙ **ს. შანშიაშვილი.** **ლექსები და პოემები** (რუსულ ენაზე), გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა", 1949 წ., ტირაჟი 7.000, ფასი 8 მანეთი.

⊙ **ვასილ შანიძე.** **ლომონები და სხვა მყავნაყოფიანი ნარინჯოვნები.** აკადემიის სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1949 წ., ტირაჟი 5.000, ფასი 14 მანეთი.

⊙ **ძსენია სიხარულიძე.** **ქართული ხალხური საგმირო-ხალისტორიო სიტყვიერება.** სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1949 წ. ტირაჟი 3.000 ცალი, გვერდი 304, ფასი 8 მანეთი.

⊙ **ნ. ნოვიცკი.** **სოციალისტური შრომის გმირი მამია დოჩია.** გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა". 1949. ტირაჟი 7.000 ცალი, გვერდი 32, ფასი 2 მანეთი.

⊙ **დოცენტი შ. კეკელია.** **ქართული ენის სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლის რუსული განყოფილებისათვის.** სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. 1949. ტირაჟი 3.000 ცალი, გვერდი 344, ფასი 9 მანეთი და 55 კაპიკი.

სასამართლო ქრონიკა

საპასპორტო რეჟიმის დარღვევისათვის აიკას არუთინს-ძე ადამოვს თბილისის კიროვის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ წლინახევრით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ალიმენტის ურჩ გადამხდელს არონ მიხეილს-ძე ჯინჯიხაშვილს სახალხო სასამართლოს მიერ დაკისრა ალიმენტის დავალიანების დაუყოვნებლივ გადახდა და მიუსაჯა ერთნახევარი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

10 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე ქალაქის საწარმოთა ხელმძღვანელ კადრებისათვის ჩატარდება სემინარი.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 25 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16), მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად **არჩილ კორნელის-ძე ჩარგეიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ფეთქადი კვეთებითი ტალღის მოქმედების მექანიზმისათვის სმენის ორგანოსა და ვესტიბულურ აპარატზე".**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **ს. ყიფშიძე,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გ. ხუციშვილი** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ა. ბაკურაძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

1. სუბტროპიკული მეხილეობის კათედრის დოცენტი — 1 შტატი
2. ბოტანიკის კათედრის დოცენტი — ½ „
3. სპეციალურ ბოლოგიის კათედრის დოცენტი — 1 „

მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება სათანადო საბუთებით ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის (კონსერვატორიის დიდ დარბაზში, გრიბოედოვის ქ. № 8)

9-X „ᲦᲠᲔᲛᲐ ᲨᲔᲡᲕᲔᲚᲘ" დღისით და საღამოს

მარჯანიშვილის სახელობის

9-X „ᲛᲝᲫᲦᲕᲐᲠᲘ" დღისით

9-X „ᲮᲐᲠᲐᲖᲘᲐᲜᲘ ᲥᲠᲐ" საღამოს

ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲚᲔᲑᲐ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს **ᲡᲢᲔᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲖᲔ ᲬᲔᲠᲘᲡ** რესპუბლიკურ კურსებზე 1949-50 სასწავლო წლისათვის.

კურსები ამზადებს შემდეგ კვალიფიკაციის **ᲡᲢᲔᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡᲢᲗᲐ** და **ᲛᲔᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲔᲑᲡ:** ყრილობის სტენოგრაფებს, მდივან-სტენოგრაფებს, სტენოგრაფ-მემანქანეებს, მდივან-მემანქანეებს.

კურსებზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი.

კურსებს აქვს ქართული და რუსული სექტორი.

სწავლის ვადაა: სტენოგრაფიულ განყოფილებაზე—2 წელი, ყრილობის სტენოგრაფიის მოსამზადებლად—3 წელი, ხოლო მანქანაზე წერის განყოფილებაზე—1 წელი.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კურსების კანცელარიაში, მახარაძის ქ. № 4, საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე.

ᲨᲝᲛᲝᲚᲔᲑᲘ თამარ, ნიკოლოზ, ძმები გიორგი, გაბო, და ქეთო, რძალი ლეილა გაბიტაშვილები, სძე მიხეილ სეხნიაშვილი შვილებით ეთერით და ალიკოთი იუწყებიან **ეკატერინე ნიკოლოზის ასულ გაბიტაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-X ველისციხეში (გურჯაანის რაიონი).

მეუღლე ვასილ, შვილები გალინა, ვენერა, ეკატერინე იუწყებიან **ნინო იაკობაშვილიხარშილაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-X, ს. არგვეთში (საჩხერის რაიონი).

ბ. შალამბერიძე, ნ. ფირცხალავა, ბ. ივანოვი, შ. ლომინაძე, შ. იოსელიანი, ქ. კიზირია, ა. ჯიქია, ი. ხოკოლავა, ა. სიხარულიძე, ა. დოკვირი, თ. ჯაყელი, ბ. გერასიმოვი, თ. გაბისკირია თანაგრძნობას უცხადებენ გ. კუპრეიშვილს მისი დედის **ლიზას** გარდაცვალების გამო.

ტრესტ „თბილმშენის" მე-2 კანტორის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ხარშილაძეს მისი დედის **ნინოს** გარდაცვალების გამო.

გ. ურუშაძე, ლ. კალანდაძე, ი. ჯაში, გ. ჩაგელოშვილი, პ. აბრამიძე, ტ. შარიქაძე